An holographic interferogram of the anterior chamber of the human eye has been obtained, and the conditions under which it was obtained are described. A single mode ruby laser with a passive cell in its intercavity space was constructed. The laser was capable of two-pulse generation needed for taking the interferogram.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. L. D. Siebert. Proc. IEEE, 56, № 7, 1968, 1242.
2. Д. И. Стаселько, А. Г. Смирнов, Ю. Н. Денисюк. ЖНиПФик, 13, вып. 2, 1968, 135.
3. R. G. Zech, L. D. Siebert. Appl. Phys. Lett., 13, № 12, 1968, 417.
4. Д. И. Стаселько, Ю. Н. Денисюк, А. Г. Смирнов. ЖНиПФик, 15, вып. 2, 1970, 147.
5. Ш. Д. Какичашвили, А. М. Лабарткава и др. Сб. «Применение голографии в медицине и биологии». Л., 1977, 7.
6. Ш. Д. Какичашвили, А. М. Лабарткава, М. О. Яшвили. Тезисы II Всесоюзной конференции по голографии, ч. I. Киев, 1975.
7. Ю. Н. Островский, М. М. Бутусов, Г. В. Островская. Голографическая интерферометрия. М., 1977.
8. Ю. Н. Денисюк. ДАН СССР, 44, 1962, 1275.
9. R. L. Wiggins *et al.* Appl. Opt., 11, № 1, 1972.



ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНАЯ МЕДИЦИНА

Р. Ш. МАЧАВАРИАНИ

СОСТОЯНИЕ ФУНКЦИОНАЛЬНОЙ АКТИВНОСТИ
 ЩИТОВИДНОЙ ЖЕЛЕЗЫ ПРИ РАКЕ ГОРТАНИ В ПРОЦЕССЕ
 ЛУЧЕВОЙ ТЕРАПИИ

(Представлено академиком О. К. Гудушаури 27.8.1983)

Вопросы функционального состояния щитовидной железы у больных раком гортани в процессе лучевого, комбинированного и хирургического лечения недостаточно освещены в современной литературе, и результаты их изучения противоречивы. Изучение данных вопросов может иметь большую практическую ценность в смысле прогнозирования результатов лечения, сокращения этапов лечения и его возможного улучшения. В литературе имеются единичные сообщения о попытках прогнозирования результатов лечения рака гортани [1].

В нашем исследовании мы попытались сопоставить данные исследования функционального состояния щитовидной железы в процессе лучевой терапии с целью составления прогноза и выбора метода лечения.

Радиоизотопным методом было обследовано 254 больных в возрасте от 34 до 76 лет, среди них было 8 женщин, остальные — мужчины.

В качестве контрольной группы использовались данные, полученные при радиоизотопном исследовании 48 здоровых лиц в возрасте от 28 до 70 лет. Поглощение I-131 при этом через 2 часа составляло $8,6 \pm 0,6\%$, а через 24 часа — $19,3 \pm 0,8\%$. Все полученные данные обрабатывались методом вариационной статистики по Стьюденту.

Больные исследовались до начала лечения, после лучевой терапии в дозах 40 и 60 гр, а также после операции. В дальнейшем исследование проводилось через 1—3—6 месяцев.

Было установлено, что с увеличением распространенности опухолевого процесса функция щитовидной железы снижается (табл. 1).

Таблица 1

Распределение больных раком гортани по стадиям в сопоставлении с функцией щитовидной железы ($M \pm m$)

Группы обследованных	Число обследованных	I-131, %			
		2 часа	P	24 часа	P
Контрольная	48	$8,6 \pm 0,6$		$19,3 \pm 0,8$	
II стадия	18	$8,1 \pm 0,6$	$> 0,5$	$18,5 \pm 1,4$	$> 0,5$
III ^a стадия	106	$7,2 \pm 0,4$	$< 0,05$	$16,8 \pm 0,5$	$< 0,05$
III ^b стадия	44	$6,6 \pm 0,5$	$< 0,05$	$16,1 \pm 1,6$	$< 0,01$
IV ^a стадия	28	$4,8 \pm 0,9$	$< 0,01$	$12,3 \pm 1,1$	$< 0,001$
IV ^b стадия	46	$3,5 \pm 0,6$	$< 0,001$	$10,2 \pm 0,6$	$< 0,001$

где P — достоверность различий показателей стадий с контрольной группой.

При изучении функции щитовидной железы у больных раком гортани с регионарными метастазами (III^b—IV^b стадии) оказалось, что именно у этих пациентов она заметно снижена. Следовательно, отчет-



ливо выявляется снижение функции щитовидной железы с увеличением распространенности опухолевого процесса (табл. 2).

Таблица 2

Функция щитовидной железы у больных раком гортани с регионарными метастазами и без них ($M \pm m$)

Группы обследованных	Число обследованных		I-131, %			
			2 часа	P	24 часа	P
Контрольная	48	p < 30	8,6 ± 0,6		19,3 ± 0,8	
III ^b —IV ^b стадии	90		5,1 ± 0,6	< 0,001	13,1 ± 1,5	< 0,001
II—III ^a —IV ^a стадии	162		6,7 ± 0,6	< 0,05	15,8 ± 0,9	< 0,05

где P — достоверность различий с показателями контрольной группы.

При проведении лучевой терапии у 10 больных при II стадии рака гортани по радикальной программе (в дозе 60 гр) отмечалось статистически достоверное снижение функции щитовидной железы. У 7 больных впоследствии имело место непосредственное клиническое выздоровление, у 3 больных — остаточная опухоль. При этом обращает на себя внимание тот факт, что у больных, у которых не удалось добиться непосредственного клинического излечения, функция щитовидной железы была несколько снижена до начала лечения по сравнению с остальными пациентами. Разница эта сохранялась и после лучевой терапии в дозе 40 гр. После дозы 60 гр функция щитовидной железы у этих больных оказалась заметно более подавленной, чем у остальных. И наконец, при исследовании функции щитовидной железы через 3 месяца после окончания лучевой терапии функция щитовидной железы у неизлеченных больных была резко угнетена (табл. 3).

Таблица 3

Функция щитовидной железы у больных раком гортани II стадии в сопоставлении с непосредственными результатами лечения ($M \pm m$)

Группы обследованных	Число обследованных		I-131, %	
			2 часа	24 часа
Клиническое выздоровление	7	До лечения	8,2 ± 0,5	18,9 ± 0,7
		40 гр	7,8 ± 0,9	18,2 ± 1,2
		60 гр	7,2 ± 0,3	17,8 ± 0,8
		3 месяца	7,1 ± 0,4	17,9 ± 0,6
Остаточная опухоль	3	До лечения	7,7 ± 0,6	17,6 ± 2,7
		40 гр	7,3 ± 0,3	17,2 ± 1,4
		60 гр	6,7 ± 0,3	16,4 ± 0,6
		3 месяца	2,3 ± 0,2	6,6 ± 0,4
		p = 8	P < 0,001	P < 0,001

где P — достоверность различий показателей групп с клиническим выздоровлением и с остаточной опухолью через 3 месяца.

Можно в связи с этим полагать, что снижение функции щитовидной железы до начала лечения является неблагоприятным фоном, а ее дальнейшее снижение после лучевой терапии в дозе 40 гр, вероятно, следует учитывать и соответственно корректировать план лечения.

Известно, что лучевая терапия в дозах 40—50 гр является «критической» [2] при лечении больных раком гортани, так как именно после этих доз решается вопрос о дальнейшей тактике лечения — продолжение лучевой терапии или операция.



Важно также отметить, что возобновление роста опухоли сопровождается резким угнетением функции щитовидной железы. Следует при этом иметь в виду, что, по установившейся традиции онкологических учреждений, рекомендуется ожидать полной реализации лучевого эффекта после облучения по радикальной программе по прошествии 3 месяцев [3]. Вероятно, больных с остаточной опухолью гортани после дозы 60 гр при наличии у них пониженной функции щитовидной железы следует оперировать, не ожидая полной реализации лучевого эффекта.

Больных с III^a стадией рака гортани было 106. Из них 11 больных в связи с выраженной резорбцией опухоли после дозы 40 гр лучевая терапия была возобновлена и проведена по радикальной программе (60 гр). У этих больных функция щитовидной железы до начала лечения была несколько выше, чем у остальных. Изменения в функциональном состоянии железы в процессе лучевого лечения у больных с III^a стадией сходны с изменениями при II стадии. У 9 больных из 11 в результате лучевой терапии по радикальной программе удалось добиться непосредственного излечения. У 2 к концу лечения определялась остаточная опухоль (табл. 4).

Таблица 4

Результаты исследования функционального состояния щитовидной железы в группе больных с остаточной опухолью при III^a стадии рака гортани (M±m)

Время исследования функции	I-131, %	
	2 Часа	24 Часа
До лечения	4,9±0,6	16,5±1,2
После дозы 40 гр	4,6±2,1	16,4±1,8
После дозы 60 гр	3,7±0,6	12,3±1,7
Через 3 месяца	3,1±0,2	8,7±0,5

Таким образом, прослеживается уже отмеченная закономерность: снижение функции щитовидной железы до начала лучевой терапии, является прогностически неблагоприятным фоном при лучевой терапии больных раком гортани. Возобновление роста опухоли сопровождается выраженным снижением функции щитовидной железы.

Онкологический научный центр
МЗ ГССР

(Поступило 2.9.1983)

მასპარეზობს მდივანი

რ. მაზარაძე

ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციონალური აქტივობის მდგომარეობა ხორხის კიბოს სხივური თერაპიის პროცესში

რეზიუმე

დადგენილია სიმსივნურ პროცესთან დაკავშირებული ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითება. 60 გრის დოზით სხივური თერაპიის ჩატარებისას აღიზიშნება ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითება, სიმსივნის განახლებულ ზრდას კი თან ერთვის მისი ფუნქციის გამონატული დაქვეითება.



ხორხის კიბოს მკურნალობის დროს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციონალური მდგომარეობის ცვლილება იძლევა მკურნალობის შედეგების პროგნოზირების საშუალებას.

EXPERIMENTAL MEDICINE

R. Sh. MACHAVARIANI

THE FUNCTIONAL ACTIVITY STATE OF THE THYROID GLAND IN CANCER OF THE LARYNX IN THE COURSE OF RADIATION THERAPY

Summary

The function of the thyroid gland in cancer of the larynx was found to be lowered, depending on the diffusion of tumor process. Radiation therapy at 60 gr dose resulted in a lowering of the thyroid gland function, whereas a renewed growth of the tumor is attended by a pronounced diminishment of the thyroid gland function. The change of the functioned state of the thyroid gland in the course of treatment of cancer of the larynx permits prognostication of the outcome of the treatment.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. T. Daniel, E. Mladkowska. Otolaryngol. pol. 35, 1, 1981, 7-11.
2. В. П. Демидов, Т. А. Лавникова, В. О. Ольшанский. Т. Е. Гош. Н. А. Полуэктова, Г. А. Борноволокна. ВОРЛ, 5, 1978, 8-13.
3. Т. Г. Ларищенко, Н. П. Полуэктова. Планирование лучевой терапии рака гортани. М., 1976.

ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНАЯ МЕДИЦИНА

Р. Д. МАГАЛАШВИЛИ, С. П. ГЛАДКИХ, Г. Г. ТАТИШВИЛИ

МОДЕЛЬ СПАЕЧНОЙ БОЛЕЗНИ

(Представлено академиком О. Н. Гудушаури 2.9.1983)

В нашем предыдущем сообщении мы приводили данные, касающиеся общей схемы патогенеза спаечной болезни [1]. Было показано, что определяющим моментом в патогенезе этого заболевания является наследственная предрасположенность, которая, в частности, наряду с другими факторами, включает высокую активность конститутивного фермента *w*-ацетилтрансферазы. В реализации данного патологического состояния, помимо наследственных факторов, ведущую роль играют воспалительные процессы различного генеза.

Данная работа посвящена экспериментальному подтверждению высказанных ранее предположений.

В нашем исследовании мы использовали кроликов породы шиншилла, поскольку они, как и человек, по активности *N*-ацетилтрансферазы распределяются бимодально на быстрых и медленных ацетиляторах [2, 3].

Исходя из нашей концепции патогенеза спаечной болезни, в экспериментальную группу мы взяли 20 животных-быстрых ацетиляторов (средняя условная активность *N*-ацетилтрансферазы $85,0 \pm 2,4\%$), для контроля — животных-медленных ацетиляторов (средняя условная активность *N*-ацетилтрансферазы $48,2 \pm 3,80\%$).

Каждое животное экспериментальной и контрольной групп подвергали лапаротомии и ревизии органов брюшной полости. Средне-срединным разрезом у животных под гексеналовым наркозом вскрывали брюшную полость (разрез длиной 5—7 см), органы брюшной полости подвергали визуальной ревизии. Патологических изменений не было обнаружено. Операционную рану обрабатывали стандартным способом. Брюшную стенку послойно ушивали наглухо шелковым швом.

Животных экспериментальной и контрольной групп содержали при постоянном наблюдении на ограниченном рационе (морковь — 150 г, капуста — 200 г, вода — по потребности) в течение месяца. Состояние животных в процессе эксперимента было удовлетворительным. На 8-е сутки после лапаротомии швы снимали.

Через месяц после операции всех животных подвергали контрольной лапаротомии под гексеналовым наркозом. При этом средне-срединным разрезом иссекали старый рубец и послойно вскрывалась брюшная полость. При вскрытии брюшной полости у животных был обнаружен незначительный выпот без запаха. Тщательная ревизия органов брюшной полости показала, что у животных-быстрых ацетиляторов петли тонкого кишечника были припаяны к передней брюшной стенке и сальнику, у некоторых животных имелись спайки между петлями тонкого и толстого кишечника.

У контрольной группы животных (медленные ацетиляторы) повторная лапаротомия не обнаружила в брюшной полости никаких следов спаечного процесса.

Поскольку спаечный процесс в брюшной полости полиэтиологичен, нам представлялось интересным сравнить данные, полученные в



предыдущем эксперименте, с результатами опыта, в котором процесс спаечного образования в брюшной полости был инициирован химическим веществом. В качестве химического соединения — инициатора спаечного процесса нами был выбран ДМСО (диметилсульфоксид). Это соединение обладает выраженным раздражающим действием на слизистые оболочки (а на брюшину тем более), но быстро всасывается и выводится из организма. В отличие от традиционных химических агентов, общепринятых в экспериментальной практике (соединения кремния, нитрат серебра), оно вызывает кратковременное раздражение брюшины и не оказывает заметного токсического воздействия на организм животного и человека. В этой связи внутрибрюшинное введение ДМСО можно в какой-то степени сравнить с полостным хирургическим вмешательством.

Исходя из вышеизложенного мы поставили следующий эксперимент:

Из предварительно фенотипированных кроликов нами были сформированы еще две группы экспериментальных животных по 20 особей в каждой: I — контрольная — животные со средней активностью N-ацетилтрансферазы $43 \pm 2,2\%$ (медленные ацетиляторы); II — экспериментальная — животные со средней активностью N-ацетилтрансферазы $89 \pm 4,8\%$.

У каждого животного каждой группы инициировали спаечный процесс при помощи внутрибрюшинных инъекций 1,0 мл ДМСО. Через 30 дней после введения ДМСО все животные были забиты и брюшная полость каждого животного была подвергнута патологоанатомической ревизии. Результаты вскрытия показали, что у животных-быстрых ацетиляторов (II группа) имеет место спаечный процесс различной степени выраженности в области внутрибрюшинной инъекции ДМСО. У кроликов-медленных ацетиляторов (I группа) спаек в области инъекции ДМСО обнаружено не было.

Разработанная экспериментальная модель спаечной болезни позволяет внести определенное дополнение в понимание патогенеза этого заболевания, а именно более высокая активность N-ацетилтрансферазы определяет более высокую степень риска развития спаечного процесса после операционного вмешательства в брюшной полости.

Научно-исследовательский институт
по биологическим испытаниям
химических соединений
Москва

Тбилисский государственный
медицинский институт

(Поступило 3.9.1983)

შეხვედრის მინიშნული მიმდინარეობა

რ. მაგალაშვილი, ს. გლადიხი, გ. ტატიშვილი

შეხვედრის დასავადადების მოდელი

რეზიუმე

შეხვედრის დასავადადების ექსპერიმენტული მოდელის მიღება შესაძლებელია ცხოველებში სწრაფი აცეტილირების ფენოტიპით. ეს იძლევა საშუალებას ახალი კუთხით გაშუქდეს შეხვედრის დასავადადების პათოგენეზი და გაკეთდეს გარკვეული რეკომენდაციები კლინიკისათვის.

R. D. MAGALASHVILI, S. P. GLADKIKH, G. G. TATISHVILI

A MODEL OF THE ADHESIVE DISEASE

Summary

It is shown that a model of the adhesive disease can be simulated in experimental animals (rabbits) with a quick phenotype of acetylation. It is recommended that the acetylizing capacity be studied in every patient entering a surgical clinic with a view to working out the optimal tactic of treatment.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. Р. Д. Магалашвили, С. П. Гладких и др. Сообщения АН ГССР, 108, № 2, 1982, 425—428.
2. M. Vachova *et al.* Pz. dek., № 5, № 30, 1978 177-178.
3. И. Элис, М. Вахова-Фрибова. Материалы IV Всесоюзного съезда фармакологов. Л., 1976.

ლ. ზაბუნია (საქ. სსრ მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი), ნ. შვირიძე,
მ. ზაბუნია

აზიაში ნამარხი ჩანთოსნების (MARSUPIALIA) არსებობის შესახებ

ჩანთოსნებზე ბევრი რამ დაწერილა, მაგრამ ამ არქაული ძუძუმწოვრების ევოლუციისა და ბიოგეოგრაფიის არაერთი საინტერესო საკითხი რჩება ჯერ კიდევ გაურკვეველად. კერძოდ, დღემდე არ არის საკმარისად გაშუქებული ჩანთოსნების აღრინდელი განსახლების პრობლემა, რაც უმთავრესად ნამარხი მასალის ნაკლებობით უნდა იყოს გამოწვეული.

ცნობილია, რომ გეოლოგიურ წარსულში ჩანთოსნები გაცილებით მეტად იყვნენ გავრცელებულნი, ვიდრე ჩვენს დროში, მაგრამ, თანახმად დამკვიდრებული აზრისა, მათ არასოდეს უარსებნიათ აზიაში (საქმე ისაა რომ ნამარხი ჩანთოსნები ამ კონტინენტზე არავის შეხვედრია, მაშინ როდესაც ევროპის, კანადისა და ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიებზე მათი ნაშთების პოვნის შემთხვევები საკმაოდ ხშირია). ამას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ მათი დღევანდელი გავრცელების ასახსნელად სულ უფრო ხშირად იშველებენ გეოლოგიურ წარსულში ანტარქტიდის გზის არსებობას [1—3], თუმცა გეოგრაფიით არც ამ ჰიპოთეზის დამადასტურებელი ფაქტობრივი მასალა მოგვეპოვება. ამიტომაც არ შეიძლება არ დაგვანტერესოს ჩანთოსნის პირველმა მონაპოვარმა აზიაში, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინათ მიაკვლია საკავშირო მეცნ. აკადემიის პალეონტოლოგიის ინსტიტუტისა და საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის ერთობლივმა ექსპედიციამ, უფროსი მეცნიერი თანამშრომლების ნ. შევირევასა და ვ. ჩხიკვაძის ხელმძღვანელობით.

ესაა იზოლირებული საძირე კბილი (ПИН № 2976/1255, ნახ. 1), რომელიც ზაისანის ტაფობის (ჩრდილო-აღმოსავლეთი ყაზახეთი) აქსიირის წყებიდან წარმოდგება. ამ ნამარხის პოვნის დონე წყების შუა ნაწილს შეესაბამება (ადგილი „ხუთი ქვა“) და, უთუოდ, ოლიგოცენის ფუძეს მიეკუთვნება [4]. კბილი (M 1 ან M 2) ძალიან პატარა ზომისაა (სიგრძე — 1,7 მმ, სიგანე — 1,6 მმ) და სუსტად მოცვეთილი, მის საღებზე ზედაპირზე კარგად ჩანს თითქმის ყველა ელემენტი, ოპოსუმების ოჯახის (Didelphidae) პრიმიტიულ ჩანთოსნებს რომ ახასიათებს [5,6]: გარეთა კიდე მკაფიოდ გამოხატული ბორცვიანობა და შუამდებარე ჩაღრმავება (ექტოფლექსუსი), აშკარა დილამბდოდონტობა მეტაკონის ძლიერი განვითარება (პარკონზე ბევრად უფრო მაღალია და მასიური) და სხვა.

გარეთა კიდეზე წარმოდგენილია ოთხი ბორცვი, რომლებიც შეიძლება გავივივეოთ დიდელფიდებისათვის დამახასიათებელი A, B, D და E ბორცვებთან [7]. C ბორცვი არ ჩანს, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ მოცვეთილ კბილზე არსებობდა სუსტად განვითარებული შესაბამისი ბორცვი, რომელიც მოცვეთის პროცესში D ბორცვს შეერწყა. A ბორცვი შედარებით დაბალია და საკმაოდ დაშორებული B-ს, რომელსაც ის სუსტი ქედით უკავშირდება. B და D კარგად განვითარებული, თითქმის თანატოლი ბორცვებია (D, შესაძლოა,



ოდნავ ჭარბობდეს სიდიდით B-ს, რომლისგანაც ის რამდენადმე წაგრძელებული ფორმითაც გამოირჩევა). შედარებით პატარა E ბორცი აბოლოვებს კბილის დეზისებერ გაშვებულ გარეუქანს კიდეს.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ყველა ამ ნიშნით ზაისანის ჩანთოსანი *Didelphinae*-ს ქვეოჯახის *Didelphini*-ს ტრიბას [6] მიეკუთვნება უფრო ძნელია, ერთ კბილზე დაყრდნობით, იმის გარკვევა, თუ ამ ჯგუფის რომელ გვარს წარმოადგენს იგი; მით უფრო, რომ გარკვეულ მსგავსებას ამკლავებს როგორც ევროპის მესამეულში გავრცელებულ პერათერიუმთან (*Peratherium*) და ამფიპერათერიუმთან (*Amphiperatherium*), ისე ჩრდილოეთ ამერიკის მესამეულიდან ცნობილ ჰერპეტოთერიუმთან (*Herpetotherium*). ევროპის ნამარხი ოპოსუმებიდან იგი ამფიპერათერიუმს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე პე-



სურ. 1

რათერიუმს. ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელია B ბორცვის დომინანტობა და C-ს შედარებით ზომიერი განვითარება [5]; ამფიპერათერიუმს კი, ისევე როგორც ზაისანის ჩანთოსანს, B და D დაახლოებით ერთნაირი სიდიდისა აქვს, ხოლო C ზოგჯერ საკმაოდ სუსტად წარმოდგენილი, რედუქციის მკაფიო ნიშნების მატარებელია [5,6]. ჰერპეტოთერიუმს [5,8] ჩვენი ნამარხი ჩანთოსანი უახლოვდება C ბორცვის თითქმის სრული ან სრული რედუქციით (ჰერპეტოთერიუმების ერთ-ერთ წარმომადგენელს, *H. knighti*-ს ეს ბორცი ისევე აკლია, როგორც ზაისანის ფორმას) [9], მაგრამ აშკარად განსხვავდება ამ გვარის სახეობებისაგან D ბორცვის ნაკლები განვითარებითა და უფრო მცირე ზომებით. საბოლოო ჯამში გვექნება შთაბეჭდილება, რომ ზაისანის ჩანთოსანი უფრო მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს ამფიპერათერიუმს, ვიდრე დანარჩენ ორ გვარს.

ზაისანის ნამარხი ოპოსუმის ამფიპერათერიუმთან სიახლოვე და ადრეოლიგოცენური ასაკი გვაფიქრებინებს, რომ მას აზიაში ევროპიდან შეეძლო შემოღწევა, რისთვისაც ხელი უნდა შეეწყოს ორ კონტინენტს შორის ხმელეთური კავშირის დამყარებას გვიან ეოცენში. თუმცა ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ ჩანთოსნები აქ უფრო ადრეც იყვნენ შემოსული ჩრდილოეთ ამერიკიდან და რომ ზაისანის ფორმა ძუძუმწოვრების ამ უძველესი ჯგუფის რომელიმე აზიურ შტოს აგრძელებდა. ამიტომ იქნებ ნაადრევი იყოს საბოლოო უარის თქმა [3] იმ ერთ დროს საკმაოდ პოპულარულ ჰიპოთეზაზეც, რომლის თანახმად ჩანთოსნები ავსტრალიაში ჩრდილოეთ ამერიკიდან აზიის გამოვლით უნდა მოსულიყვნენ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ლ. დავითაშვილის სახელობის პალეობიოლოგიის
ინსტიტუტი

(შემოვიღა 29.6.1984)

Л. К. ГАБУНИЯ (академик АН ГССР), Н. С. ШЕВЫРЕВА, В. Д. ГАБУНИЯ

О ПРИСУТСТВИИ В АЗИИ ИСКОПАЕМЫХ СУМЧАТЫХ (MARSUPIALIA)

Резюме

Устанавливается присутствие в низах олигоцена Зайсанской впадины (Северо-Восточный Казахстан, средняя часть аксыирской свиты) сумчатого, принадлежащего к семейству опоссумов (*Didelphidae*). Речь идет об очень мелком правом верхнем коренном зубе (M^1 или M^2), характеризующемся отчетливой диламбодонтностью и присутствием свойственных дидельфидам наружных стилевых, или столбиковых, бугорков (рис. 1). Наибольшее сходство он обнаруживает с M^1 — M^2 представителей западноевропейского *Amphiperatherium* (нижний эоцен—средний миоцен). Это — первая находка ископаемых сумчатых в Азии.

PALAEOBIOLOGY

L. K. GABUNIA, N. S. SHEVYREVA, V. D. GABUNIA

ON THE PRESENCE OF FOSSIL MARSUPIALS IN ASIA

Summary

In the basal Oligocene of the Zaissan depression (North-East Kazakhstan, middle part of the Aksyirian suite) the presence of *Didelphidae* has been established by an isolated tooth. This is a very small, distinctly dilambdodont upper molar (most likely M^1) with stylar cusps characteristic of the didelphians (fig. 1). It has some resemblance with the M^1 — M^2 of West-European representatives of *Amphiperatherium* (Lower Eocene—Middle Miocene). This is the first find of fossil marsupials in Asia.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. R. Hoffstetter. C. R. Acad. Sci. Paris, D, 271, 388-391, 1970.
2. Дж. Симпсон. В сб. «Успехи современной териологии». М., 1977, 204—228.
3. Дж. Симпсон. Великолепная изоляция. М., 1983, 1—125.
4. Б. А. Борисов. Труды ВСЕГЕИ, Новая серия, т. 322, 1983, 89—98.
5. J. Y. Crochet. C. R. Acad. Sci. Paris, t. 284, Ser. D, 357-360, 1977.
6. J. Y. Crochet. Geobios, 12, 3, 365-378, 1979.
7. W. A. Clemens. Fossil mammals of the type lance formation, Wyoming, Part II, Marsupialia, Univ. California Pub. Geol. Sci. 62, 1-122, 1966.
8. R. M. West, The Pearce-Sellards Series, № 35, 1-20, 1982.
9. P. O. McGrew *et al.* Bull. Amer. Mus. Natur. Hist. 117(3), 117-176, 1959.



ა. ვიკუა, მ. ბაბუნია

გვიანპალეოლითური ადამიანი და მისი გარემო სამხრეთ საქართველოში

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ლ. გაბუნია 9.8.1983)

უკანასკნელ წლებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიციამ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე ქვის ხანის რამდენიმე საინტერესო ძეგლს მიაკვლია [1]. უმთავრესად ეს ძეგლები მდ. ფარანის ხეობაშია თავმოყრილი. ქ. ახალქალაქის მახლობლად, სოფ. ბავრას მიდამოებში აღმოჩენილია ეხი, მღვიმე და ღია სადგომი, რომლებშიც დაცულია ზედაპალეოლით-მეზოლითის ქვის ინდუსტრიის ნაშთები. თითოეული მათგანი სპეციალურ გამოკვლევას იმსახურებს, მაგრამ როგორც ქვის იარაღების, ისე ნასუფრალი ძვლების მრავალფეროვნების მიხედვით ყველაზე საინტერესოდ გვესახება მაინც მღვიმე, რომელსაც ბავრას მღვიმეს ვუწოდებთ (სოფ. ბავრასთან სიახლოვის გამო).

ბავრას მღვიმე დოლერიტებში მოქცეულ, საშუალო ზომის სიცარიელეს წარმოადგენს. მისი სიგანე შესასვლელთან 8 მ-ია, სიგრძე — 6,5 მ, ხოლო სიმაღლე — საშუალოდ 2 მ. მღვიმის უკანა კედელი ჩახერგილია დოლერიტული ლოდებით, ხოლო კედლის ძირში პატარა ხვრელია, რომელიც, როგორც ჩანს, მღვიმის გაგრძელებას წარმოადგენს.

მღვიმეში გაჭრილი შურფის მიხედვით ფენათა შემდეგი თანმიმდევრობა დადგინდა: 1) ჰუმუსი, წარმოდგენილი მოყავისფრო ნიადაგით, ალაგ-ალაგ ბაზალტის ლოდების ჩანართებით. ჰუმუსოვანი ფენის სისქეა 0,25 მ. 2) კულტურული ფენა, წარმოდგენილი ოდნავ მოყვითალო. მკვრივი ქვიშიანი თიხნარითა და ბაზალტის ღორღით. კულტურული ფენის სისქეა 0,85 მ. 3) კულტურული ფენა, ოდნავ ქვიშიანი მოყავისფრო თიხნარითა და ბაზალტის ღორღით. ფენის სისქეა 0,3—0,5 მ. (კულტურის ნაშთებს ფენის მხოლოდ ზედა ჰორიზონტი შეიცავს). 4) სტერილური ფენა 0,1—0,3 მ სისქის, წარმოდგენილი კომპოზიციური სტრუქტურის მქონე თიხნარითა და ბაზალტის ღორღით. 5) ალუვიონი, 10 სმ სისქის.

როგორც კრილის აღწერიდან ჩანს, მღვიმის მხოლოდ მეორე და მესამე ფენები შეიცავს არქეოლოგიურ მასალას. იარაღებში აშკარად შეიმჩნევა საფხეკების სიმრავლე, შედარებით იშვიათია საჭრისები, შატელპერონის ტიპის დანები, ხოწები და სახერტები.

ბავრას მღვიმე ქვის ინდუსტრიის თავისებურებებით (დამზადების ტექნიკაში დისკოიდალური და პრიზმულ-კონუსური ნუკლეუსების სიჭარბე, საფხეკების მრავალფეროვნება და სიმრავლე, საჭრისების მცირე რაოდენობა, შატელპერონისებური იარაღების მნიშვნელოვანი როლი, ლამელებზე და ანატეკეცებზე დამზადებულ იარაღთა თანაფარდობა და სხვა) გარკვეულ მსგავსებას იქნის დასავლეთ ევროპის ლაგარეტის, იაბრუდ 1-ის, ერკელ-ახმარისა და სხვა ზედაპალეოლითური სადგომების ქვის ინდუსტრიასთან. ქვის იარაღების დამზადების ტექნიკის მხრივ ბავრას მღვიმეს საკმაოდ ბევრი აქვს საერთო დევისხერელის, საკაუას (გვიანდელი ფენები), მღვიმეის, ხერგულის-კლდესა და სხვა ძეგლებთან, რომელთა ზედა პლეოლითისადმი მიკუთვნება ეჭვს არ იწვევს.



მღვიმის კულტურულ ფენებში შედარებით ცოტაა ნასუფრალი ველური სულ 167 დასახელების ძვალია აქ ნაპოვნი, მაგრამ სახეობრივად ეს მასალა საკმაოდ მრავალფეროვან ფაუნას ასახავს. დღეისათვის ბავრას მღვიმე ხერხემლიანთა ფაუნის შემდეგ სახეობებს შეიცავს: კავკასიის ომანა (*Mesocricetus brandti* Nehring), რომელიც მემინდვრია (*Cricetidae*), სუსლიკი (*Citellus* sp.), მელა (*Vulpes vulpes* L.), მგელი (*Canis lupus* L.), გარეული ცხენი (*Equus caballus strictipes* Gab.), კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus* L.), გარეული ღორი (*Sus scrofa* L.), გარეული ცხვარი (*Ovis* sp.), ბიზონი (*Bison* sp.). ნაპოვნია ბავრას მღვიმეში ფრინველების ძვლებიც, რომელთა შორის ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩმა განსაზღვრა გარეული ქათამი (*Gallus* sp.), გარეული იხვი (*Anas platyrhynchos* L.), ამიერკავკასიის გნოლი (*Perdix perdix* L.) და რუხი ყვავი (*Corvus corone sharpii* Oates).

აღსანიშნავია, რომ ძვლის ნაშთების სიმრავლით გამოირჩევა გარეული კაბალოიდური ცხენი, რომელსაც მთელი ომტეოლოგიური მასალის 37,1% (62 ძვალი) ეკუთვნის. ძვლების რაოდენობის მხრივ მეორე ადგილზეა ბიზონი (56 ძვალი), შემდეგ შოდის გარეული ცხვარი (22 ძვალი). დანარჩენი ცხოველები ძირითადად თითო-ოროლა ძვლითაა წარმოდგენილი.

ბავრას მღვიმის ხერხემლიანთა ფაუნის შედგენილობის მიხედვით ძნელია თვით ფაუნასა და, მით უმეტეს, ძეგლის ასაკზე რისიმე გადაწყვეტილად თქმა, რადგან მსგავსი ფაუნა აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე ბინადრობდა პლეისტოცენის მეორე ნახევარში და პოლოცენის დასაწყისში. კერძოდ, დიდია მსგავსება ბავრას მღვიმისა და ახალქალაქის ეხის ძუძუმწოვართა ფაუნებს შორის. ამ ფაუნებს საერთო აქვთ არა მარტო ჩლიქოსნები და მტაცებლები, არამედ წყლის მოყვარული ფრინველებიც. ახალქალაქის ეხის კულტურული ფენები და იქ ნაპოვნი ნასუფრალი ძვლები გვიან პალეოლით-მეზოლითად თარიღდება [2].

უფრო გარკვეულ მითითებას ბავრას მღვიმის ფაუნის ასაკზე ნამარხი ცხენის ნაშთები იძლევა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მღვიმის კულტურულ ფენებში ცხენის ძვლები ჭარბობს სხვა ცხოველების ნაშთებს. მასალაში ბევრია კილურის ძვლების ფრაგმენტები, მაგრამ ძირითადად მაინც ზედა და ქვედა საძირე კბილებია წარმოდგენილი, რაც ბავრას ცხენის შედარებით სრული დახასიათების საშუალებას გვაძლევს. კბილების აღნაგობის თავისებურებებით (საშუალო ზომის შალღავირგვინოვანი კბილები, ზედა საძირე კბილებზე მახვილი ძეზოსტილი, საშუალოდ დანაოჭებული მარკები, სუსტად განვითარებული დეზი, კაბალოიდური ფორმის პროტოკონი, რომლის ინდექსი 40,7—47,0 შორის მერყეობს, ქვედა საძირე კბილებზე ორმაგი მარყუჟის არქაული ფორმა, ღრმა შიდა უბე, ნისკარტისებური ენტოკონიდი და სხვა) ბავრას მღვიმის ცხენი თითქმის არაფრით განსხვავდება აღმოსავლეთ საქართველოს პლეისტოცენში ფართოდ გავრცელებულ წვრილთითა (*Equus caballus strictipes* Gab.) ცხენისაგან. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს მთლიანად ბავრას მღვიმის ხერხემლიანთა ფაუნა ზედაპლეისტოცენურად დავათარილოთ, რაც არ ეწინააღმდეგება ბავრას მღვიმის არქეოლოგიურ დათარიღებას.

პალეოზოოლოგიური თვალსაზრისითაც შესწავლილ ფაუნაში ყველაზე საინტერესო მაინც წვრილთითა ცხენია, რომლის ნაშთების სიუხვე კულტურულ ფენებში მიგვანიშნებს, რომ ახალქალაქის პლატოზე და მიმდებარე ტერიტორიაზე პლეისტოცენის დასასრულს შედარებით მშრალი ჰავა და გაშლილი სტეპური ან ნახევრად სტეპური ტიპის ლანდშაფტი უნდა ყოფილიყო. ისიც გავიხსენოთ, რომ მეტ-ნაკლებად მსგავსი გარემო სამხრეთ საქართველოში უკვე



ქვედა პლეისტოცენის დასაწყისიდანაა ცნობილი, რამაც ადრევე განაპირობა შესაბამისი არიდული ლანდშაფტისათვის დამახასიათებელი ფაუნის ჩამოყალიბება, რომლის ნაშთებს ჩვენ ხშირად ვხვდებით ახალქალაქის (ქვედა პლეისტოცენი), წოვის (ქვედა პალეოლითი), ზურტაკეთის (მეზოლითი) და ახალქალაქის ენის (ზედა პალეოლით-მეზოლითი) ადვილსაპოვებლებში.

ახალქალაქის მიდამოებისათვის არც ტყით დაფარული უბნები უნდა ყოფილიყო იშვიათი. ტყე ძირითადად განვითარებული იყო, ალბათ, წყალგამყოფებზე და აუზისპირა ზოლში. ტყეში ბინადრობდა კეთილშობილი ირემი, მგელი, მჩხვი, ხოლო ტბურ აუზებთან დაკავშირებული იყო წყლის მოყვარული ფრინველები — გარეული იხვი, ყურყუმელა და სხვა.

უთუოდ ყურადღების ღირსია ბავრას მღვიმეში გარეული ქათმის ნაშთის პოვნა. თუმცა აქ გარეული ქათმის მხოლოდ ორად-ორი ძვალია (მხრისა და სხვიის ძვლების ფრაგმენტები) ნაპოვნი, მაგრამ ეს მცირე მასალა ცხადყოფს, რომ სამხრეთ საქართველოში პლეისტოცენის მეორე ნახევარში ბინადრობდა გარეული ქათამი, რომელიც ზედაპალეოლითელი ადამიანის ნადირობის, ალბათ, არც თუ იშვიათ ობიექტს შეადგენდა.

აღსანიშნავია, რომ გარეული ქათმის ნაშთები იშვიათია არა მარტო საქართველოს, არამედ საერთოდ ამიერკავკასიის მეოთხეულისათვის. პირველ ცნობას საქართველოს ტერიტორიაზე გარეული ქათმის ნაშთების პოვნის შესახებ ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩი [3] იძლევა. მკვლევარს შეუსწავლია ს. კრუკოვსკის მიერ გვარჯილას კლდეში (გვიანი პალეოლითი) მოპოვებული ფრინველების ძვლები და მათში აღმოუჩინა გარეული ქათმის ძვალიც. უფრო გვიან, ჯერ მღვიმევის (გვიანი პალეოლითი) სადგომში, ხოლო შემდეგ კუდაროს (სამხრეთ ოსეთი) კულტურულ ფენებში, რომლებსაც სპეციალისტები აშელის ეპოქის ათარიღებენ, ასევე აღმოჩნდა გარეული ქათმის ნაშთები [4]. ამ ფრინველის ძვლები აზიხის (აზერბაიჯანი) აშელური კულტურის ფენებშიცაა აღნიშნული. ამრიგად, ამიერკავკასიაში მეოთხეულის მანძილზე საკმაოდ ფართოდ ყოფილა გავრცელებული გარეული ქათამი. ამიტომაც არაა საფუძველს მოკლებული ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩის ვარაუდი იმის შესახებ, რომ კავკასიაში ადგილზე მოხდა გარეული ქათმის მოშინაუბრება და თანამედროვე კავკასიური შინაური ქათმის წინაპრად კავკასიური გარეული ქათამი უნდა მივიჩნიოთ [5].

ჩლოქსნებს ბავრას მღვიმეში ნასუფრალი ძვლების თითქმის ნახევარი ეკუთვნის. ამ მასალის ძირითადი ნაწილი ბიზონისა და გარეულ ცხვრის ნაშთებს შეადგენს. ბიზონის ნაშთებს საქართველოს ქვის ხანის ადამიანის ნასუფრალ ძვლებს შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს, მაგრამ ყოველთვის როდია შესაძლებელი იმის გარკვევა, *Bison priscus*-თან გვაქვს საქმე, თუ შედარებით გვიანდელ *Bison bonasus*-თან. მასალის ფრაგმენტულობის გამო არც ბავრას მღვიმეში მოხერხდა ბიზონების სახემდე განსაზღვრა.

შედარებით მცირე მასალითაა წარმოდგენილი ბავრას მღვიმეში გარეული ცხვარი, რომელსაც ჩვენ სავარაუდოდ მუფლონს ვაკუთვნებთ. გარეული ცხვრების ეს სახეობა ფართოდ იყო წარმოდგენილი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე თითქმის მთელი მეოთხეულის მანძილზე.

საკმაოდ ერთფეროვანია ბავრას მღვიმეში მტაცებლები. აქ თითო-ორიოლა ძვლითაა წარმოდგენილი ძველი, მაჩვი და მელა. მტაცებლების ფაუნა ბავრასში უპირატესად ტყის ბინადარი ფორმებითაა წარმოდგენილი, რაც ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ახალქალაქის მიდამოებში პლეისტოცენის დასასრულს ტყით დაფარული მასივებიც უნდა ყოფილიყო გავრცელებული, თუმცა საერთოდ უთუოდ სჭარბობდა სტეპური ან ნახევრადსტეპური ლანდშაფტი.



ბავრას მღვიმეში ნაპოვნია აგრეთვე სუსლიკის (*Citellus sp.*) კანფაღალი ცული ქვედა მარჯვენა ტოტი. ამ ცხოველის ახალქალაქის მიდამოებში პოვნა არაა შთაბეჭდილი. ადრე ჩვენ ვიპოვეთ და აღვწერეთ პატარა ზომის სუსლიკის ქალა ახალქალაქის ქვედაპლესტოცენური ასაკის ადგილსაპოვებლიდან [6]. სუსლიკი გაშლილი სივრცეების, სტეპების ბინადარი ცხოველია და ასევე ადასტურებს ვარაუდს ახალქალაქის მიდამოებში და მიმდებარე ტერიტორიაზე შედარებით არიდული პირობების არსებობის შესახებ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
პალეობიოლოგიის ინსტიტუტი

(შემოვიდა 2.9.1983)

ПАЛЕОБИОЛОГИЯ

A. K. VEKUA, M. K. GABUNIA

ПОЗДНЕПАЛЕОЛИТИЧЕСКИЙ ЧЕЛОВЕК В ЮЖНОЙ ГРУЗИИ И ОКРУЖАЮЩАЯ ЕГО СРЕДА

Резюме

В районе Ахалкалаки (Южная Грузия) в окрестностях с. Бавра открыта небольшая пещера, содержащая остатки каменной индустрии позднепалеолитического времени. По собранным в пещере костным остаткам установлено наличие в культурном слое *Mesocricetus brandti*, *Citellus sp.*, *Vulpes vulpes*, *Canis lupus*, *Equus caballus strictipes*, *Cervus elaphus*, *Sus scrofa*, *Ovis sp.*, *Bison sp.* Из пернатых Н. Бурчак-Абрамовичем определены: *Gallus sp.*, *Anas platyrhynchos*, *Perdix perdix*, *Corvus corone sharpii*.

В составе баврской позднепалеолитической фауны явно преобладают обитатели открытых пространств, свидетельствующие о господстве условий умеренно теплого и сухого климата.

PALAEOBIOLOGY

A. K. VEKUA, M. K. GABUNIA

THE UPPER PALAEOЛИTHIC MAN AND ITS ENVIRONMENT IN SOUTHERN GEORGIA

Summary

A small cave containing the relics of the stone industry of the Upper Palaeolithic has been discovered in the vicinity of the village of Bavra, Akhalkalaki district, Southern Georgia. The bone remains collected in the cave point to the presence of *Mesocricetus brandti*, *Citellus sp.*, *Canis lupus*, *Vulpes vulpes*, *Equus caballus strictipes*, *Sus scrofa*, *Cervus elaphus*, *Ovis sp.*, *Bison sp.* Remains of birds were also found (*Perdix perdix*, *Gallus sp.*, *Anas platyrhynchos*, *Corvus corone sharpii*).

Inhabitants of exposed areas predominated in the fauna under study, existing under conditions of a relatively hot and dry climate.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. გ. გრიგოლია კრ. „მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის“, IV, 1965.
2. მ. გაბუნია. ა. ვეკუა. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, 103, № 3, 1981.
3. Н. И. Бурчак-Абрамович. «Пещеры Грузии», в. 4, 1966.
4. Н. И. Бурчак-Абрамович. Четвертичная система Грузии. Тбилиси, 1982.
5. Н. И. Бурчак-Абрамович. Кударские пещерные палеолитические стоянки в Юго-Осетии. М., 1980.
6. ა. ვეკუა. ახალქალაქის ქვედაპლესტოცენური ძუძუმწოვრების ფაუნა. თბილისი, 1962.



3. ფინიქსი

ველარულ თანხმოვანთა დისიმილაციური განუვითარებლობა
მეგრულში

(წარმოადგინა აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა 25.2.1984)

საერთოქართველურში სამი სიბილანტური რიგის რეკონსტრუქციით გ. მ. ა. ქავარიანმა გარკვეულობა შეიტანა ქართველურ ფონემათა შესატყვისობების მოჩვენებითს უწესრიგობაში [1]. ამ მოსაზრების მიხედვით, ყველა ქართველურ ენაში უცვლელად დარჩა საერთოქართველური წინაალვეოლარული თანხმოვნები, ხოლო შუა და უკანა ალვეოლარულმა თანხმოვნებმა სპეციფიკური ცვლილებები განიცადა: შუა რიგის ალვეოლარები ქართულში იქცა წინა რიგის ალვეოლარებად (რის გამოც საერთოქართველურის წინა რიგის ალვეოლარებს გაუტოლდა), ზანურსა და სვანურში კი — უკანა რიგის ალვეოლარებად; ქართველური უკანა რიგის ალვეოლარები ქართულმა უცვლელად შემოინახა, ზანურსა და სვანურში კი განვითარდა უკანა რიგის ალვეოლარისა და ველარული ხშულისაგან შემდგარ თანხმოვანთგუფებად.

ქართული ენის პოსტალვეოლარულ აფრიკატებსა და სპირანტებს ზანურსა და სვანურში კანონზომიერად შესატყვისება სიბილანტისა და ველარული ხშულისაგან შემდგარი თანხმოვანთკომპლექსები:

*ბჟ- (ქართ. ბჟ-ენ, მეგრ. ბიჯგ-, სვან. ბჯგ-ენ-)

*ბიჯ- (ქართ. ბიჯ-, სვან. ბიჯგ-) (სხვაგვარ შეპირისპირებას გვთავაზობს გ. კლიმოვი [2])

*ჩუმ- (ქართ. ჩუმ-, სვან. ჩქტიმ „ჩუმად, მშვიდად“)

*ჩერჩ- (ქართ. ჩერჩ-, მეგრ. ჩქარჩქ-ალ- „უხეშად დაფქვა“)

*ეჩო (ქართ. ეჩო, სვან. აცქუ)

*ჭრ- (ქართ. ჭრ-, ზან. ჭკირ-)

*ჭედ- (ქართ. ჭედ-, ზან. ჭკად-, სვან. შკად-)

*შუბ- (ქართ. შუბ-ლ, სვან. სგობ-ინ)

*ფიშ- (ქართ. ფიშფიშ- „ხარშვისას სკდომის გამომხატველი ხმაური“, მეგრ.

ფეშქ-, ფაშქ- „სკდომის ხმა“, სვან. ფიშგ- [3—5].

ზოგიერთი სიტყვა არ ექვემდებარება შესატყვისობის ამ წესს. ასეთია ქართ. ლეჭ-ვა, მეგრ. ლაჭ-. მეგრულში ძირეული მორფემის აუსლაუტში მოსალოდნელი იყო (ჭკ), მაგრამ გვაქვს (ჭ), ისევე როგორც ქართულში. გ. მაჭავარიანი ფიქრობდა, რომ მეგრულში ველარული თანხმოვანი დისიმილაციური მიზეზებით დაიკარგა ან სულაც არ განვითარებულა [6]. ამ ვარაუდის სისწორეს ადასტურებს შემდეგი ეტიმონი გ. კლიმოვის ლექსიკონიდან: ქართ. ჩიყვ-, მეგრ. ჩიყვაგ-, სადაც ასევე პოსტერიორული ხშულის არსებობის გამო მეგრულში მოსალოდნელი ველარი არ განვითარებულა.

ამ მაგალითებს შეიძლება სხვაც დაემატოს, სადაც ყველა შემთხვევაში ქართულის პოსტალვეოლარულ თანხმოვანს მეგრულში მხოლოდ პოსტალვეოლარული თანხმოვანი (ველარული კომპონენტის გარეშე) შესაბამება, თანაც ყველა შემთხვევაში სახეზეა ველარული (resp. ფარინგალური) თანხმოვნები,



რომელთა დისიმილაციურმა ძალამ, როგორც ჩანს, ვეღარების განუვითარებლობა გამოიწვია:

ქართ. ღოჭ-ვა, მეგრ. ღუჭ-უა „გაჭყლეტა, დაპრესვა“;

ქართ. ვლეჯ-, მეგრ. გურჯ-ონ-;

ქართ. თხლეშ-, მეგრ. თხირიშ-;

ქართ. ტყლეშ-, მეგრ. ტყირიშ-;

ქართ. ჩიგნ-ვა, მეგრ. ჩიგონ-;

ქართ. ჩეკ- (გაჩეკვა), მეგრ. ჩაკ-.

მაგრამ ვეღარული (resp. ფარინგალური) თანხმოვნების შემცველი ქართველური ძირების ერთ ნაწილში საერთოქართველური პოსტალვეოლარული თანხმოვანი მეგრულში (resp. ლაზურში) მაინც თანხმოვანთგუფით არის წარმოდგენილი:

ქართ. ღორჯო, ლაზ. ღორძგო;

ქართ. ღრიჯ-, მეგრ. ღინჯგ-ინ-;

ქართ. ღიჯღიჯ-, მეგრ. ღინჯგ-ნ-;

ქართ. ღრჭინ-, მეგრ. ღირწყინ-, ლაზ. ღრიწყინ-;

ძვ. ქართ. ვეჩ-, ზან. ხაჩქ-;

ძვ. ქართ. ვლეჩ-, მეგრ. ხარცქ-;

თუ ყველა ამ ძირის საერთო ნიშნებს გამოვძებნით, აღმოჩნდება, რომ ყველა შემთხვევაში ზანურში საქმე გვაქვს ანლაუტში სპირანტთან, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში მყდრობით სიბილანტი შეესატყვისება (ღ—ჯ; ხ — ჩ; ხ — ც), ამასთანავე, შესაძლოა გარკვეულ როლს თამაშობდეს ფუძისეული (რ) (შდრ. ღაჭ-, ღუჭ-, ამის საპირისპიროდ, ღირწყინ-).

სამაგიეროდ, ის პარამონიული ჯგუფის ვეღარული ფონემის შემცველი საერთოქართველური ფუძეები, მარტივი პოსტალვეოლარული თანხმოვნის ადგილას მეგრულში მუდამ თანხმოვანთგუფებს ივითარებს. აქ აღარ მოქმედებს ვეღარული ფონემის დისიმილაციური ძალა:

ქართ. ჯეჯგ-, მეგრ. ჯგაჯგ-ნ-;

ქართ. ჩეჩქ-, მეგრ. ჩქაჩქ- „გატეხვა, ვაწყვეტა“, ლაზ. ჩაჩქ- „გაკვეთა“.

ეს შოვლენა იმას ემყარება, რომ მეგრულში ასეთ შემთხვევაში ანლაუტისა და აუსლაუტის შეთანხმების აშკარა ტენდენცია არსებობს, რაც სხვა თანხმოვანთგუფებთანაც იგრძნობა:

ქართ. ცეცქ-, მეგრ. ცქაცქ-;

ქართ. ძეძგ-, მეგრ. ძგაძგ-;

ქართ. დინდგელ-, მეგრ. დგვინდგვ- „ფისი“.

ვეღარების ზემოთ განხილული დისიმილაციური განუვითარებლობა მეგრულში არათუ არ ეწინააღმდეგება გ. მაჭავარიანის ვარაუდს, რომ შესატყვისობა — ქართ. პოსტალვეოლარული თანხმოვანი: ზან. და სვან. პოსტალვეოლარული (resp. პრეალვეოლარული) და ვეღარული თანხმოვნების ჯგუფი — საერთოქართველურ პოსტალვეოლარულ ფონემებს ეყრდნობა, არამედ მხარსაც კი უჭერს მას.

ამ შესატყვისობათა სხვაგვარი ინტერპრეტაცია წარმოადგინა კ. ჰ. შმიდტმა. მისი აზრით, ქართული პოსტალვეოლარები საერთოქართველური თანხმოვანთგუფებისგანაა განვითარებული, ე. ი. ჰედვის აღმნიშვნელ ეტიმონში თავდაპირველია (ჰქ) ჯგუფი და მეორეულია ქართული (ჰ). ამგვარ გადაწყვეტას მხარი დაუჭირა ი. მელიქიშვილმა [7]. ი. მელიქიშვილის მახვილგონივრული არგუმენტაცია პირველ რიგში იმით გამოირჩევა, რომ საერთოქართველური ფონემატური სისტემის სტატისტიკურ კვლევას ის მარჯვედ უკავშირებს ტიპოლოგიურ სიხშირეებს, რის გამოც გ. მაჭავარიანის მიერ შემოთავაზებული

სისტემის რეკონსტრუქცია ნორმიდან გადახრად გამოიყურება. გ. მაჭავარიანი-სეული რეკონსტრუქციის საპირისპიროდ გამოთქმული, საერთო ჯამში მეტად საყურადღებო, წინააღმდეგობანი პირველ რიგში მაინც ეყრდნობა კვანტიტატიურ დაკვირვებებს, რომლებიც ერთნაირად დამაჯერებელი არ არის ყველა შემთხვევაში [8]. მაგალითად, რას ეყრდნობა მოსაზრება, რომ სტატისტიკური ღირებულებები სიბილანტთა სფეროში უნივერსალური ხასიათისაა? ოპერატიული შესაძლებლობებისა და ლოგიკური თანმიმდევრობის საკითხები, რომლებიც გ. მაჭავარიანთან წამყვან როლს ასრულებს, აქ მხოლოდ გაკვირით არის ნახსენები. ჩვენი აზრით, მხოლოდ ფონემათა სიხშირე ვერ გადაიქცევა გ. მაჭავარიანისეული რეკონსტრუქციის შეფასების საფუძვლად. ზემოთ მოტანილი შემთხვევები ველარული ფონემების დისიმილაციური განუვითარებლობისა მეგრულში დაუბრკოლებლად აიხსნება, თუკი ამოვალთ ფუძე-ენაში პოსტალგეოლარების არსებობის თეზიდან, რომლებიც მეგრულში სპეციფიკურ თანხმოვანთჯგუფებად იქცა. გ. მაჭავარიანისეული რეკონსტრუქციის სასარგებლოდ ლაპარაკობს ერთი ტიპოლოგიური მომენტიც: საერთოქართველური პრეფიქსები საზოგადოდ CV-, CV-, VC- და C-სტრუქტურებს წარმოაჩენს. ეს ეხება პრეფერებებსაც, რომლებშიც CV-სტრუქტურა დომინირებს; *და-, *გა-, *მი-, *მო-, *წა-. ტიპოლოგიური თვალსაზრისით მეტად საეჭვო იქნებოდა *შე-ს მაგიერ *შქე- პრეფიქსის (CCV-სტრუქტურით) რეკონსტრუქცია. ეგვევ ითქმის საერთოქართველური ძირეული მორფემის ძირითად ტიპზეც (CVC), რომელიც, ფაქტობრივად, მხოლოდ გ. მაჭავარიანისეული რეკონსტრუქციის მიღებას უშეუბნებს.

ფ. შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

(შემოვიდა 30.3.1984)

ЯЗЫКОЗНАНИЕ

X. ФЕЕНРИХ

О ВЕЛЯРНЫХ СОГЛАСНЫХ В МЕГРЕЛЬСКОМ

Резюме

В статье рассматриваются вопросы фонетики мегрельского диалекта занского языка, связанные с изменениями велярных консонантов в свете общей проблематики реконструкции звукового состава картвельских языков.

LINGUISTICS

H. FÄHNRIICH

CONCERNING THE VELAR CONSONANTS IN MEGRELIAN

Summary

The paper deals with problems of the phonetics of the Megrel dialect of the Zan language, connected with changes of the velar consonants in the light of general problems of the reconstruction of the phonetic system of the Kartvelian languages.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. G. Machavariani. Three Series of Sibilant Spirants und Affricates in Kartvelian Languages, Moscow, 1960.
2. Г. Климов. Этимологический словарь картвельских языков. М., 1964, 52.
3. არნ. ჩიქობავა. ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. ტფილისი, 1938.
4. გ. მაჭავარიანი. საერთოქართველური კონსონანტური სისტემა. თბილისი, 1965.
5. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი. სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში. თბილისი, 1965.
6. თ. გამყრელიძე. სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი. თბილისი, 1959, 21.
7. ი. მელიქიშვილი. კრებ. „თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები“, V. თბილისი, 1980.
8. ი. მელიქიშვილი. მარკირების მიმართება ფონოლოგიაში. თბილისი, 1976.

ს. ბენდიანიშვილი

ანრი ლენორმანის „აზია“

(მედიასა და იასონის სახეების ერთ-ერთი გააზრება)

(წარმოადგინა აკადემიკოსმა გ. აბაშიძემ 28.6.1984)

ფრანგული დრამატურგია, დასაბამიდან დღემდე, გამუდმებით მიმართავს მითოლოგიურ სიუჟეტებს.

როდესაც თანამედროვე დრამატურგი მიმართავს მითს, მას ორი შესაძლებლობა აქვს: შეუძლია მიმართოს დრამატურგიისა ან პროზის ჟანრში დამუშავებულ ან დაუმუშავებელ მითს. როდესაც დრამატურგი დაუმუშავებელ მითს მიმართავს, მეტი თავისუფლება აქვს. დამუშავებული მითის აღება კი გაცილებით რთულია, რადგან როგორც არ უნდა დაშორდეს დრამატურგი ორიგინალურ დრამას, მაინც განიცდის ამ დრამის გავლენას, მაშინაც კი, თუ მას ეწინააღმდეგება. ამასთანავე, დამუშავებული სიუჟეტის აღებისას ძირითადი სირთულე და კრიტერიუმი სწორედ ის არის, თუ როგორ ახერხებს დრამატურგი ახალ ერთიანობაში კლასიკური და თანამედროვე ელემენტების შემოტანასა და თანაარსებობას. „ეს (კლასიკური და თანამედროვე ელემენტების თანხვედრა — ს. ბ.) ერთადერთი საშუალებაა, რომ ამგვარი პიესები მიიღოს საზოგადოებამ, რომელსაც მოყირჭებია ადგილობრივი კოლორიტი და ძალზე მობეზრებია ძველი საბერძნეთის იდილიური წარმოდგენები“ [1].

ამ სირთულეების მიუხედავად, თანამედროვე ფრანგი დრამატურგები ძირითადად მაინც დამუშავებულ სიუჟეტებს მიმართავენ. შესაძლოა, ამ შემთხვევაში, გარკვეული მიზანიც ამოძრავებთ: უკვე ნაცნობი, არაერთხელ დამუშავებული სიუჟეტის ფონზე უფრო ნათლად წარმოაჩინონ თავიანთი ახლებური ინტერპრეტაცია, საკუთარი მხატვრული ესთეტიკა.

სწორედ ამ რთულ გზას ირჩევს ანრი ლენორმანი მედეას მითის დამუშავებისას. ლენორმანი ორ ომს შუა პერიოდის ნოვატორ დრამატურგთა შორის მოღვაწეობს, „იბრძვის“ „სამარცხვინო ბულვარული პიესების“ წინააღმდეგ, და შემოაქვს რევოლუციური ელემენტი (ეგზოტიზმი, ფროიდიზმი, ეზოტერიზმი) „დადლილ ფრანგულ თეატრში“ [2].

„აზია“ მედეას მითის თანამედროვე პარაფრაზია. დრამატურგმა ძირითადი სიუჟეტური ხაზი უცვლელად დატოვა, მოქმედება კი თანამედროვე ეპოქაში გადმოიტანა, რითაც ტრავედიას მეტად აქტუალური უღერადობა მიანიჭა. დრამატურგი ახლებურად წარმოაჩენს მედეა—იასონის კოლიზიას, ამჟამურებს მას ორი ციცილიზაციის — ევროპისა და აზიის დაპირისპირებით, რომელთა პარაფრაზული თანაარსებობაც შეუძლებელია, რომელთაგან ერთი (ევროპა) მუდამ ცდილობს მეორის (აზიის) დაპყრობას, თუ არ ჩავთვლით ეფემერულ გატაცებას, როცა აზიის ეგზოტიკით გაბრუნებული ევროპა ეტრფის მას, მანამ, სანამ მის იდუმალებასა და სიუცხოვეს შეეჩვევა და ეს პროცესი ისევე სწრაფწარმავალია, როგორც ქალისა და მამაკაცის სიყვარული, რომელიც სიახლოვეში იცრიცება, რომელსაც მხოლოდ სიშორე ინარჩუნებს. ლენორმანის წყვილთა ურთიერთ-



ბა, სიყვარულის ესთეტიკა სტენდალის „კრისტალიზაციისა“ და „დეკრისტალიზაციისა“ ფენომენსაც შეიცავს, პრუსტის და ანუის განხილვასაც. სიყვარული მისთვის, ისევე როგორც პრუსტისთვის იდუმალისკენ, მიუწევდომლისკენ ლტოლვაა. საკუთარი წარსულის რეტროსპექტული ხედვა დაანახვებს დე მეზანას (იასონს) განხილვის მიზნებს: „...გიყვარდი, რადგან უეცრად შენს წინაშე გამოეჩინდი, როგორც უცნობი სამყაროს ემანაცია... მე შენთვის ისეთივე უცხო ვიყავი, როგორც ვარსკვლავის მცხოვრები, და მეც ასევე, შესაძლოა უცხოობის იმ უზარმაზარი ტვირთის გამო მიყვარდი, რომელიც მხრებზე გაწევა“ [3].

ლენორმანს დე მეზანას (იასონის) ხასიათში ცვლილებები არ შეუტანია. ის მიჰყვება ამ ხასიათის ტრადიციულ ხაზს. მისი დე მეზანაც (იასონიც) პრაგმატული, მერყევი ხასიათის პიროვნებაა, რომლის ცვლილებებსაც ვარემოს, ადგილის მოთხოვნები განაპირობებს. ის შორდება აზიის ყვითელ სამყაროს; სამყაროს, სადაც მეფობდა და ერთ დროს ბედნიერიც კი იყო; შორდება როგორც „ამშორებულ სინინქურეს“ და ევროპისაკენ მიილტვის. შესაძლოა ევროპის გაიდელეზაც მისი შორიდან, უცხო თვალთ დაანახვამ განაპირობა, შესაძლოა ემეც (კრეუზაც) მივიწყებული ევროპის სურნელებითაა გაუღნითილი და სწორედ ეს იზიდავს დე მეზანას (იასონს) მასში? მაგრამ დე მეზანა (იასონი) ამაზე არ დაფიქრებულა, მისი მზერა კონკრეტულ, ემპირიულ სინამდვილეს ვერ სცილდება, სულიერი სამყარო მისთვის უხილავია.

ლენორმანთან შესამჩნევი გარდაქმნა განიცადა დედოფლის (მედეას) სახემ. აქ ის არც კორნელისეული შურისძიებით აღესილი, ძლიერი ნების ქალია, არც სხვა პიესათა ამაყი მედეა. გმირის ხასიათის ცვლილებებსაც ძირითადი პრობლემა — ორი ცივილიზაციის დაპირისპირება განაპირობებს. სიშორემ დედოფლის (მედეას) ხასიათიც შეცვალა. ევროპაში მას უკვე აღარ ძალუძს თავისი მისნური შესაძლებლობების მთლიანი გამომჟღავნება, აზიაში დე მეზანას (იასონს) სჯეროდა მისი, მისი მისნური შესაძლებლობების, მაშ რამ განაპირობა ეს ცვლილება? ნუთუ ამგვარად ცვლის ადგილმდებარეობა შეხედულებებს? ნუთუ სიშორე მართლაც აკარგვინებს მაგიურ სიტყვებს თავიანთ ძალას? — აი, რა შეკითხვებს წამოჭრის ლენორმანი.

ლენორმანის დედოფალი (მედეა) გონიერი ქალია. მან იცის, რომ ქალისა და მამაკაცის განშორება ხშირია, თვითონ ეუბნება დე მეზანას (იასონს): „ის ბოროტება, რომელსაც შენ მიმზადებ, ყველა კაცს ჩაუდენია ქალის წინაშე, ყველა ქალს ჩაუდენია კაცის წინაშე. ამაში ბრალი ადამიანის ბუნებას: მიუძღვის“ [4]. ასე რომ, დედოფლისათვის (მედეასათვის) მსგავსი მოქმედება უცხო არ არის. მას დასაშვებად მოაჩნია ქვეყნად ამგვარი უთანხმოება, მაგრამ თვითონ არ ემორჩილება ამ კანონს, რადგან სიყვარულიც წრეგადასული, მარადიული შეუძლია და შურისძიებაც, რადგან ძალუძს სიყვარულისთვის მსხვერპლიც გაიღოს და ემსხვერპლოს კიდევ მას.

მკვეთრი გარდაქმნა განიცადა ემეს (კრეუზას) სახემაც. ლენორმანამდე არცერთ დრამატურგს არ უცდია ემეს (კრეუზას) სახეში გამოეკვეთა პასუხისმგებლობის, ინდისის ქენჯნის ვრძნობა. ლენორმანამდე ემე (კრეუზა) თავის ქცევას არ ანალიზებდა. ლენორმანის ემეს (კრეუზას) ესმის დედოფლის (მედეასი) — მიტოვებული ცოლისა და დედის ტრაგედია. ესმის, რომ მედეას შეუძლია ბოროტმოქმედების ჩადენა. აღნიშნავს კიდევ, რომ „იმას, რაზეც ჩვენ ვოცნებობთ, ის ანხორციელებს“ [5]. ემე (კრეუზა) ქრისტიანულ მორალზე აღზრდილი და იცის, რომ თვითონაც არ არის ზნეობრივად სრულქმნილი.

ლენორმანმა მოქმედება თანამედროვე საფრანგეთში გადმოიტანა, დედოფალი (მედეა) კი ისევ არაცივილიზებულ, „ბარბაროს“ ქალად დასტოვა. აქაც, სხვა პიესების მსგავსად, გაწონასწორებული დე მეზანა (იასონი) უპირისპირდება



გუწონასწორებელ დედოფალს (მედეას), მაგრამ ლენორმანს ამ დაპირისპირებაში სიახლე შეაქვს — აზიისა და ევროპის დაპირისპირებით. და ბუნებრივია, რომ ამ დაპირისპირებული სამყაროების პირმშოთა ხვედრი გაურკვეველია. ისინი ორივე სამყაროსთვის უცხო არიან და ლენორმანი დე მეზანას (იასონის) პიოთ ჩივის: „აღმაშფოთებელია, რომ ომის დამთავრებიდან ათი წლის შემდეგ, ევროპული დემოკრატიის პირობებში, ორი შერეული სისხლის ბავშვი მოთვინიერებული ძაიმუნების ჯიშადაა მიჩნეული... რა ელით მათ ამ ქვეყანაში?.. სად უნდა იცხოვრონ? სად იგრძნობენ თავს კარგად? არც აქ, არც აზიაში“ [6].

რა არის ამ დისპარმონიის მიზეზი? იქნებ, ევროპა, რომელიც პირველი თვითონ შეეცადა აზიაში შეჭრას, ისევე როგორც დე მეზანა (იასონი)? დრამატურგი ამ შეკითხვასაც უპასუხოდ ტოვებს. ეს ნიშანდობლივია მისი დრამატურგიისათვის. როგორც ბლანშარი აღნიშნავს, „მისი ტრაგედია იდეათა და გონებრივ ძიებათა მხრივ ყოველთვის შეკითხვით მთავრდება ადამიანის დაურღვეველი იდუმალების წინაშე, დრამატული მოქმედების მხრივ კი — თვითმკვლელობითა და სიკვდილით, რადგან ხსნა არ არის“ [7]. ლენორმანი არც ამ ტრაგედიაში ღალატობს საკუთარ დრამატულ პრინციპებს, ძირითად პრობლემაზე მას ორაზროვანი, ბუნდოვანი შეხედულებები აქვს. სწორედ ამიტომ უწოდებს მის თეატრს დანიელ როპსი „წუხილის თეატრს“ და აღნიშნავს, რომ „ყოველ სფეროში, იქნება ეს მორალის, მეტაფიზიკის თუ მოქმედების სფერო, შფოთვა ცდილობს მოსპოს ნებელობის აქტი, ყოველგვარი დარწმუნებულობა“ [8]. ასეთია ლენორმანის თეატრი.

ო. ჭავჭავაძის სახ. თბილისის უცხო ენათა
სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

(შემოვიღა 29.6.1984)

ИСТОРИЯ ЛИТЕРАТУРЫ

С. М. БЕНДИАШВИЛИ

«АЗИЯ» АНРИ ЛЕНОРМАНА

(Об одной интерпретации персонажей Медуи и Ясона)

Резюме

Ленорман так же, как и многие французские драматурги XX века, с большим интересом относится к мифу, в частности, к мифу уже разработанному в литературе — в прозаическом и в драматургическом жанрах. «Азия» — современная адаптация мифа о Медуе. Драматург, как явствует из анализа пьесы, намеренно обращается к разработанному его предшественниками мифу с тем, чтобы на его фоне более четко представить собственную интерпретацию образа Медуи.

HISTORY OF LITERATURE

S. M. BENDIASHVILI

HENRI LENORMAND'S ASIE

(ON AN INTERPRETATION OF THE PERSONAGES OF MEDEA AND JASON)

Summary

Like almost all the 20th-century French playwrights, Lenormand seems to be keenly interested in myths, particularly those already elaborated in fiction, prose and drama. *Asie* is a modern adaptation of the myth



ვაუწონასწორებელ დედოფალს (მედეას), მაგრამ ლენორმანს ამ დაპირისპირებაში სიახლე შეაქვს — აზიისა და ევროპის დაპირისპირებით. და ბუნებრივია, რომ ამ დაპირისპირებული სამყაროების პირმშოთა ზვედრი გაურკვეველია. ისინი ორივე სამყაროსთვის უცხო არიან და ლენორმანი დე მეზანას (იასონის) პირობით ჩივის: „ალმაშფოთებელია, რომ ომის დამთავრებიდან ათი წლის შემდეგ, ევროპული დემოკრატიის პირობებში, ორი შერეული სისხლის ბავშვი მოთვინიერებული ძაიმუნების ჯიშადაა მიჩნეული... რა ელით მათ ამ ქვეყანაში?.. სად უნდა იცხოვრონ? სად იგრძნობენ თავს კარგად? არც აქ, არც აზიაში“ [6].

რა არის ამ დისპარმონიის მიზეზი? იქნებ, ევროპა, რომელიც პირველი თვითონ შეეცადა აზიაში შეჭრას, ისევე როგორც დე მეზანა (იასონი)? დრამატურგი ამ შეკითხვასაც უპასუხოდ ტოვებს. ეს ნიშანდობლივია მისი დრამატურგიისათვის. როგორც ბ ლ ა ნ შ ა რ ი აღნიშნავს, „მისი ტრაგედია იდეათა და გონებრივ ძიებათა მხრივ ყოველთვის შეკითხვით მთავრდება ადამიანის დაურღვეველი იდემალების წინაშე, დრამატული მოქმედების მხრივ კი — თვითმკვლელობითა და სიკვდილით, რადგან ხსნა არ არის“ [7]. ლენორმანი არც ამ ტრაგედიაში ღალატობს საკუთარ დრამატულ პრინციპებს, ძირითად პრობლემაზე მას ორაზროვანი, ბუნდოვანი შეხედულებები აქვს. სწორედ ამიტომ უწოდებს მის თეატრს დანიელ როპსი „წუხილის თეატრს“ და აღნიშნავს, რომ „ყოველ სფეროში, იქნება ეს მორალის, მეტაფიზიკის თუ მოქმედების სფერო, შფოთვა ცდილობს მოსპოს ნებელობის აქტი, ყოველგვარი დარწმუნებულობა“ [8]. ასეთია ლენორმანის თეატრი.

ო. ჭავჭავაძის სახ. თბილისის უცხო ენათა
სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

(შემოვიდა 29.6.1984)

ИСТОРИЯ ЛИТЕРАТУРЫ

С. М. БЕНДИАШВИЛИ

«АЗИЯ» АНРИ ЛЕНОРМАНА

(Об одной интерпретации персонажей Медеи и Ясона)

Резюме

Ленорман так же, как и многие французские драматурги XX века, с большим интересом относится к мифу, в частности, к мифу уже разработанному в литературе — в прозаическом и в драматургическом жанрах. «Азия» — современная адаптация мифа о Медее. Драматург, как явствует из анализа пьесы, намеренно обращается к разработанному его предшественниками мифу с тем, чтобы на его фоне более четко представить собственную интерпретацию образа Медеи.

HISTORY OF LITERATURE

S. M. BENDIASHVILI

HENRI LENORMAND'S ASIE

(ON AN INTERPRETATION OF THE PERSONAGES OF MEDEA AND JASON)

Summary

Like almost all the 20th-century French playwrights, Lenormand seems to be keenly interested in myths, particularly those already elaborated in fiction, prose and drama. *Asie* is a modern adaptation of the myth



of Medea. An analysis of the play reveals the fact that the playwright deliberately turns to a myth elaborated at an earlier date by other authors in order to present against its background his own interpretation of Medea's character in a more vivid fashion.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. F. Juan. Bulletin de l'Association Guillaume Budè, Juin, 1952, 78.
2. Le style au Microscope. Dramaturges par criticus. III. 1952, 237.
3. H. R. Lenormand. Les Cahiers de Bravo, Juin, 1932, 25.
4. H. R. Lenormand. Les Cahiers de Bravo, Juin, 1932, 31.
5. H. R. Lenormand. Les Cahiers de Bravo, Juin, 1932, 27.
6. H. R. Lenormand. Les Cahiers de Bravo, Juin, 1932, 22.
7. P. Blanchart, Le Theatre de H. R. Lenormand. P. 1947, 177.
8. Daniel-Rops. La Revue Mondiale, N° 19, 1926, 253.



ა. ძიმიშვილი

ქართული საბჭოთა ნარკვევი სოციალიზმის მშენებლობის
პერიოდში

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ციციშვილმა 5.1.1984)

ქართული საბჭოთა ნარკვევის ერთი შეხედვით რეტროსპექტული განხილვა (როგორც ცნობილია, იგი გაჩნდა რესპუბლიკური პრესის დაბადებასთან ერთად 1921 წ. როცა შეიქმნა გაზეთები „კომუნისტი“ და „პრავდა გრუზი“, რომელიც შემდგომ „ზარია ვოსტოკად“ გადაკეთდა) გვიჩვენებს, რომ აქამდე არანახული, ამ ახალი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს ისტორიის განვითარების ყოველ ეტაპზე პრესა მხარში ედგა პარტიას და ხალხს და მათთან ერთად ასრულებდა პარტიულ დავალებებს, მგზნებარე სიტყვით აღანთებდა საზოგადოებას ახალი მიღწევებისათვის.

რა თქმა უნდა, იმ პერიოდის ქართულმა პარტიულმა პრესამ იატაქვეშეთის პარტიულ ბეჭდვით სიტყვის ტრადიციებიდან შემკვიდრებლად მიიღო მებრძოლურობა, შეუპოვრობა, მაგრამ ახალ, ლეგალურ პირობებში პრესის წინაშე დადგა წინა ამოცანებისაგან პრინციპულად განსხვავებული ამოცანები, რომლებმაც განაპირობეს პროპაგანდის ყველა საკითხისადმი ახლებური მიდგომა. თუკი იატაქვეშეთის პრესა, დაწყებული ელვა-ფურცლებიდან, გაზეთ „ბრძოლით“ დამთავრებული, ექსპლოატაციური რეჟიმის მამხილებელი, მისი ანტიხალხური არსის გამომზეურებელი იყო, ახლა ნაკლოვანებათა და კაპიტალიზმის გადმონაშთა მხილებასთან, შენიღბული მტრის გამოაშკარავებასთან ერთად პარტიული ჟურნალისტიკის დღის წესრიგში დადგა ახალი ამოცანა — სახიერად, კონკრეტული მაგალითების ჩვენებით გაეხსნა სახალხო ხელისუფლების ჰუმანისტური არსი, ჯერ კიდევ სუსტი სოციალისტური ურთიერთობები, და ყველაფერი ეს უნდა გაეკეთებინა, ერთი მხრივ, ცხოვრებისეულ მასალაზე დაყრდნობით, მეორე მხრივ, არ უნდა დაევიწყებინა და, პირიქით, აქცენტით კი უნდა გაეკეთებინა პრესის, როგორც კოლექტიური ორგანიზატორის, როლზე.

სწორედ ამ სეციფიკური მიზეზების გამო ქართული საბჭოთა პრესის ისტორიაში საბჭოთა ხელისუფლების პირველივე წლებიდან გამოჩნდა ისეთი ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჟანრი, როგორიცაა ნარკვევი.

საბჭოთა ხელისუფლების 6 წლის განვლილი პერიოდის თვალსაწიერიდან, სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბოლოდროინდელი და განსაკუთრებით იენისის პლენუმის თვალსაწიერიდან, რომელმაც იდეოლოგიური საკითხები განიხილა, მკვეთრად ჩანს საბჭოთა, კერძოდ კი ქართული ჟურნალისტიკის მიერ განვლილი გზა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის იენისის პლენუმზე ამხ. კ. უ. ჩერნენკომ თქვა: „ჩვენ გვჭირდება მკაფიო ნარკვევები ხუთწლედის გმირების—მუშების, კოლმეურნეების, სპეციალისტების შესახებ“.

პრესის გამოსვლები, რადიო- და ტელეგადაცემები, აღინიშნა პლენუმის დადგენილებაში, უნდა გვიზიდავდეს და შთაბეჭდილებას ახდენდეს ცხოვრებისეული წვდომით, დასკვნათა არგუმენტულობით, აზრისა და სიტყვის სიცხა-



დით, ისინი მარჯვედ უნდა ეწეოდნენ ჩვენი წყობილების უპირატესობის პაგანდას, ნათლად კვეთდნენ ჩვენი საზოგადოების მშენებლის, ჩვენი ეპოქის ნამდვილი გმირის ხასიათს და სახეს.

თუკი ჩვენს დროში, როგორც ეს პლენუმზე აღინიშნა, ახალი საზოგადოების მშენებლის ხასიათის და სახის გამოკვეთა, ვახსნა სადღესო საკითხია, საბჭოთა ხელისუფლების გარიყრაჟზე, როცა ისტორიისათვის უცნობი საზოგადოებრივი ურთიერთობები იბადებოდა, ეს მარტო აგიტაციისა და პროპაგანდის საკითხი კი არა — ახალი საზოგადოების სასიცოცხლო საკითხი, მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი იყო.

ძველ გმირს, უფრო სწორად, ანტიგმირს, ექსპლოატატორს და მისთანებს უნდა დაპირისპირებოდა ახალი, ჭეშმარიტად სახალხო გმირი, ენერგიული, მოძაღლის რწმენით აღსავსე კაცი, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეს სწირავს პარტიისა და ხალხის საქმეს, და ასეთი გმირის დასახატავად ყველაზე მოხერხებულ, ყველაზე ტევად ჟანრად ნარკვევი შეიძლება ჩათვალოს. მას შესწევს უნარი დაიტიოს ლიტერატურული ენის მთელი სიმდიდრე.

1921—1941 წწ. პერიოდის ქართული საბჭოთა ნარკვევის ისტორია პირობითად შეიძლება ხუთ ეტაპად გაიყოს. თითოეული მათგანის დაბადება იმით აიხსნება, რომ პარტია თანმიმდევრულად სახავედა ახალ, მსხვილმასშტაბურ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტა მთელი პროპაგანდისტული აპარატის, და, რა თქმა უნდა, პრესის მობილიზაციას მოითხოვდა.

პირველი ეტაპი თუნდაც მცირედი დახასიათებითაც კი თავისი სირთულით და საზოგადოებრივ ურთიერთობათა სიჭრელით გაცივებს იწვევს. ის ხომ სახალხო მეურნეობის გარადქმნებისა და აღდგენის პერიოდი იყო და 1921—1925 წლებს მოიცავდა. ამ გარდაქმნათა სინამდვილეში ჯერ კიდევ ახალგაზრდა რესპუბლიკური გზეულებს და შემდგომ შექმნილ საქალაქო და რაიონულ გაზეთებს მართებდათ მოენახათ ერთადერთი სწორი გზა, გულმოდგინედ ამოერჩიათ უამრავი ფაქტიდან პროპაგანდისტულად მახვილი, კლასობრივი მტრის გამანადგურებელი ფაქტები.

სწორედ ამ პერიოდში გაზეთები ჯერ გაუბედავად, შემდეგ კი უფრო ენერგიულად იწყებენ ნარკვევების ბეჭდვას მშრომელი ადამიანების შესახებ. ამ პერიოდი ათენს დამახასიათებელია პირდაპირი შედარებები — თუ რას წარმოადგენდა გმირი რევოლუციამდე და რას წარმოადგენს დღეს. ნარკვევებში იგრძნობოდა პირდაპირი იერიში კლასობრივ მტერზე და ისინი ხასიათდებოდნენ მალაქმეოციური, შემტევი, რამდენაღმე ერთხაზოვანი თხრობის სტილით.

შემდგომ, სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის პერიოდში, ეს ერთხაზოვანი სტილი არ გამქარალა, მაგრამ ერთგვარად შელამაზდა, უფრო გააზრებული გახდა, გამოიკვეთა ფაქტებზე დაფიქრების, მათი გაზოგადების დონემდე აყვანის სურვილი. ამ პერიოდში ნარკვევი არ კარვავს თავის მეტრძოლ, შემტევ ხასიათს, ამ სთან ახალ, უფრო მკაფიო ფერებს იძენს. ერთი მხრივ, ეს იმით უნდა ავხსნათ, რომ დაგროვდა ერთგვარი გამოცდილება, მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც ის იყო, რომ დაიწყო კოლექტივიზაციისათვის მზადება და პარტიაც მოითხოვდა, რომ ნარკვევის ავტორს ვლენებისათვის კონკრეტულად, მკაფიოდ და ნათლად განემარტა სოფლად მეურნეობის ახალი ფორმის უპირატესობანი. პარტიის ეს მოთხოვნა პრესის მუშაკთა, წინაშე აყენებდა დღევანდელი და ხვალინდელი დღის პრობლემების ღრმა ანალიტიკურ ცოდნას. ამასთან ყოველივე ეს უნდა ყოფილიყო მიღწეული უბრალო, გასაგები ენით.

მთელი ფრონტით სოციალიზმის შეტევის და კოლექტივიზაციისათვის ბრძოლის პერიოდში პრესის წინაშე ახალი ამოცანები დაისახა. სწორედ ამ დროს საქართველოს კომპარტიამ საჭიროდ ჩათვალა მთელი რიგი ღონისძიებანი



განხორციელებინა გაზეთებისა და ბეჭდვით გამომცემლობათა კოლექტივების გამოცდილი, მტკიცე კომუნისტებით განმტკიცება-დაკომპლექტებისათვის. და ეს გასაგებიც არის. წინ იყო ბრძოლა კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის. ამ პერიოდის ნარკვევებს ხშირად მწვავე დრამატული დალი აზის, მათში ყველგან შეხვდებით კულაკთა მიძინარების სურათებს, გამოხატულია დაუნდობელი რისხვა იმათ მიმართ, ვინც ხელს უშლის ახალი ცხოვრების დამკვიდრებას, აშკარად ჩანს ახალი გზით მიმავალ ადამიანთა უყოყმანო მხარდაჭერა. იმ წლების ზოგიერთი ნარკვევი დღესაც გვატყვევებს თავისი მკვეთრი დრამატურგით, იმ დროის მძაფრი ლიტერატურული საშუალებებისა და საღებავების სიუხვით.

კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია, სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრება იმით აღინიშნა, რომ პარტიამ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წინაშე სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის ბრძოლის ამოცანები დააყენა. პირობითად ეს პერიოდი 1933—1937 წწ. მოიცავს და მისი სპეციფიკა ის არის, რომ უფრო ფართოდაა წარმოდგენილი სტახანოვური მოძრაობა, თუმცა იგი ბევრად ადრე დაიწყო. შრომის გამირებს გაზეთების ფურცლებზე ყველაზე საპატიო ადგილი ეთმობა. თუ ადრე სტახანოველთა შესახებ მოთხრობები უფრო შრომის წარმატებებზე პატაკებს ჰგავდა, რომლებშიც აურაცხელი ციფრები და ფაქტები იყო ჩამოთვლილი, ახლა ნათლად ჩანს მენარკვევითა სურვილი, რომ ანალიზი გაუკეთონ სტახანოველთა ხასიათს, აჩვენონ მათი ყველაზე უფრო მძიმედელი მხარეები, მკითხველს მოუთხრონ შრომის მეთოდებსა და მათ მიერ დაგროვებულ გამოცდილებასზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოთხრობები სტახანოველებზე უკვე აღარ არის სქემატური, ერთგვარად ლამაზი ელფერი დაჰკრავს, და, რაც ყველაზე უფრო საინტერესოა, საქმიან სახეს იძენს. ჩანს გამოცდილების სხვისთვის გაზიარებისა და გადაცემის სურვილიც.

დიდი სამამულო ომის წინამორბედ წლებში, როცა საერთაშორისო ვითარება უკიდურესად იყო დაძაბული და პარტიამ რამდენიმე გაწვევა გამოაცხადა ავიაციაში, არტილერიაში და ფლოტში, გაზეთების გვერდებზე გამოჩნდა ისეთი ნარკვევები, რომლებიც წითელი არმიის მეგრძოლებსა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაზე მოგვითხრობდნენ. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ერწყმოდა ყოველდღიურ მასალებს სტახანოვური მოძრაობაზე, — რომელიც კვლავ იყო საყოველთაო, სახალხო, — მასალებს საკოლმეურნეო გლეხობაზე, მათს საგმირო საქმეებზე ველ-მინდვრებში.

მაგრამ ამასთან ერთად ყველაზე მშვიდობიან ნარკვევებშიც კი გამოსჭვივის ფიქრი მსოფლიოს მომავალზე, აქა-იქ გაიეღებს მინიშნებანი რთულ საერთაშორისო მდგომარეობაზე, რომელსაც შეიძლება ომის ხანძარი მოჰყვეს. როგორც ვხედავთ, ამ მდიდარი, შეიძლება ითქვას, მოვლენებით აღსავსე პერიოდის ერთი თვალის გადავლენაც კი საშუალებას ვვაძლევს დაეინახოთ ქართული საბჭოთა ნარკვევის ტრანსფორმაციის მთელი გზა დაბადებიდან დავაჟაკებამდე, 1941 წლამდე. ჟანრის განვითარება მისი გაღრმავების, ცხოვრებაში უფრო ღრმად შეჭრის გზით ხდებოდა და სინამდვილის ანალიტიკური ვააზრების გზით ვითარდებოდა. რა თქმა უნდა, ამასთან ერთად იყო ნორმებიდან გადახრის ფაქტებიც, რაც ჟანრის განვითარების პროცესში ბუნებრივი ამბავია. მაგრამ ეს გადახრებიც და იმ დროის მენარკვევითა შეცდომებიც დღეს მეცნიერულ ინტერესს იწვევს, რადგან ჟანრის ვენუზისი ზოგჯერ სწორედ ამ გადახრებში ვლინდება და განსაკუთრებით მათი მეოხებით მოჩანს ნათლად და რელიეფურად.



ამასთან ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ვითარებაში საქართველოს პრესა და ნარკვევეც, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი, ყოველთვის საინტერესო, რეალისტური, გასაგები და სამართლიანი იყო. სოციალიზმის ბეჭდვითი სიტყვა დაიბადა, იყო და რჩება საზოგადოებრივი აზრის ტრიბუნად, კოლექტიური აზრისა და ქმედების ინსტრუმენტად. და სწორედ ამაშია მისი ძალა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(შემოვიდა 6.1.1984)

ФИЛОЛОГИЯ

К. Ш. ДЗИДЗИГУРИ

ГРУЗИНСКИЙ СОВЕТСКИЙ ОЧЕРК В ПЕРИОД СТРОИТЕЛЬСТВА СОЦИАЛИЗМА

Резюме

Грузинская советская пресса унаследовала и развила лучшие традиции подпольной партийной прессы Грузии. Идеиная преемственность предопределила ее боевитость, стойкость, целенаправленность. Но в новых исторических условиях перед ней стали принципиально новые задачи, определившие новый подход ко всем узловым вопросам пропагандистской деятельности.

История грузинского очерка 1921—1941 гг. нами условно подразделяется на пять этапов. В данной статье охарактеризованы основные черты этих периодов.

PHILOLOGY

K. Sh. DZIDZIGURI

GEORGIAN SOVIET FEATURE STORY IN THE PERIOD OF BUILDING OF SOCIALISM

Summary

Georgian Soviet press inherited and developed the best traditions of the underground Georgian communist press. Ideological succession predetermined its fighting spirit, steadfastness and purposefulness. Owing to the new historical conditions Georgian Soviet press faced fundamentally new problems requiring a new approach to all basic questions of propagandistic activity.

The history of the Georgian feature story of 1921-1941 is tentatively subdivided into five stages. The present article deals with their basic characteristic features.



ბ. კაპანაძე

რუსეთის რევოლუციური მოძრაობა გავით „დროებაში“

(წარმოადგინა აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა 5.6.1984)

რუსი რევოლუციონერი დემოკრატების იდეებს ნაზიარებ, პეტერბურგში სწავლამიღებულ ქართველ ახალგაზრდობას — თერგდალეულებს სამშობლოში დაბრუნებისას მშობელი ქვეყნის სამსახურისათვის თავდადების მაღალ იდეალებთან ერთად თან გამოჰყვა ქართველი და რუსი ხალხების ბედის უმჭიდროესი ურთიერთკავშირის მტკიცე შეგნება. ამიტომაც, როცა ამ თაობამ გაზეთ „დროების“ გამოცემა დაიწყო, თავიდანვე მას ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად ქართველი მკითხველისათვის რუსეთის ცხოვრების გაცნობა დაუსახა.

„დროება“ ცდილობდა მაქსიმალურად დაეკმაყოფილებინა ქართველი მკითხველის ინტერესი რუსეთის ცხოვრებისადმი, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეს გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო რედაქცია სრულად ვერ აღწევდა დასახულ მიზანს, რის გამოც „დროების“ რედაქტორებსა და მკითხველებს თან სდევდა ერთგვარი გულისტკივილი. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა გავითის მსჯელობა მის თაობაზე, თუ რითი შეეძლო რუსეთის სხვადასხვა ქალაქში მოსწავლე ქართველ სტუდენტობას ყველაზე უკეთესი სამსახური გაეწია მშობელი ქვეყნისათვის. სტატიაში „ჩვენი სტუდენტების მოვალეობა“, რომელიც ა. ნალის (ა. ნანეიშვილის) ხელმოწერით გამოქვეყნდა „დროებაში“ 1881 წ., განვითარებულია ის თვალსაზრისი, რომ ბეჯით სწავლასთან ერთად ქართველი სტუდენტობის ძირითად მოვალეობას რუსეთის ცხოვრების საფუძვლიანი შესწავლა და ქართველი მკითხველისათვის მისი გაცნობა შეადგენდა.

„ჩვენ ქართველ სტუდენტობას — ნათქვამია სტატიაში — თავის სტუდენტობის განმავალობის დროს შეუძლია ბევრი და ნაყოფიერი შრომა დასდოს ხალხის და ლიტერატურისათვის; ამისთანა შრომათ ჩვენ მიგვაჩნია ჩვენი ხალხის და საზოგადოების გაცნობა საზოგადო მეცნიერებასთან, რუსეთის ლიტერატურასთან, მის სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებასთან... რომლის შესწავლა აუცილებლად საჭიროა ჩვენთვის, რადგან ჩვენი ბედ-იღბალი ერთობ მჭიდროდ შეკავშირებულია რუსეთის ცხოვრებასთან, მის წარმატებასთან“ [1].

მართალია, თვითონ „დროება“ მკაცრად აფასებდა თავის საქმიანობას რუსეთის ცხოვრების გაშუქების თვალსაზრისით, მას არ აკმაყოფილებდა პუბლიკაციათა ოდენობა ამ თემაზე, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მისი თვითკრიტიკა გადაჭარბებულია. რუსეთის მრავალფეროვანი ცხოვრება გავითის ფურცლებზე საქმოდ კარგად აისახა. ამას მოწმობს, კერძოდ, რუსეთის რევოლუციური მოძრაობის გაშუქების მდგომარეობაც.

„დროებას“ კარგად ესმოდა, რომ რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების წარმატებაზე იყო დამოკიდებული ქართველი მშრომელი ხალხის ოვგორც სოციალური, ისე ეროვნული იდეალის განხორციელების შესაძლებლობა. განასხვავებდა რა ერთმანეთისაგან მეფის რუსეთსა და რუს ხალხს,



„დროება“ შთააგონებდა თავის მკითხველებს, რომ ცარისტული რეჟიმის სახსრები ჩვენს ხალხებს ერთი საერთო დაუძინებელი მტერი ჰყავდა, რომ რუს რევოლუციონერთა ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ ეს იყო ქართველი ხალხის დიდძალი საქმეც და ამიტომ რუსეთის რევოლუციური მოძრაობა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ერთი საერთო განმათავისუფლებელი ბრძოლის შემადგენელი რგოლები იყო.

„დროებისათვის“ ერთი იყო მეფე, მისი მთავრობა, რეაქციული რუსეთი და მეორე — მოწინავე რუსეთი, ანუ მისი ტერმინოლოგიით „რუსეთის საუკეთესო ნაწილი“. გაზეთი თავისი პუბლიკაციებით ნერგავდა დაუნდობელი სოციალისტების გრძობას პირველისადმი და სიყვარულს მეორისადმი. გამოთქვამდა რა „დროების“ თანამშრომელთა საერთო აზრს, იაკობ გოგებაშვილი წერდა: „სხვაგან ბევრგან ვხედავთ პატრიოტებსა, რომელთაც უნდათ სხვის უბედურობაზედ ააშენონ თავიანთი ქვეყნის ბედნიერება... მეშჩერნსკის, სუკოტინის, კატკოვის რომ შეეკითხოთ თუ როგორი უნდა იყოს რუსის პატრიოტიო, ვპასუხებენ: იგი უნდა სჩაგრავდეს ყოველ სხვა ტომს, რუსებთან შემოერთებულსა და გარედ უნდა ელტოდეს და ნატრულობდეს მთელის ევროპის გაქვლევასაო“ [2]. იმავე პუბლიკაციაში, ამის საპირისპიროდ ავტორი მიუთითებს: „იგინი (ქართველი პატრიოტები. — გ. კ.) ნატრობენ იმსვე, რასაც მოისურვებდნენ, ჩვენს ქვეყანაში რომ ემოქმედნათ, რუსეთის უნიჭიერესნი მოდასავლეთენი (ზაპადნიკები): ბელისკი, დობროლიუბოვი, ავტორები რომანებისა: „ვინ სტყუვის“ ჯა „რა ვქნათ“, შჩედრინი და სხვანი [2].

ყოველივე ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თვით რუსეთის მოწინავე საზოგადოება რუსეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას განიხილავდა როგორც უმნიშვნელოვანეს მოკავშირეს ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

„დროების“ მიერ რუსეთის რევოლუციური მოძრაობისათვის მხარდაჭერა და ქართველ საზოგადოებაში მისდამი თანაგრძობის აღზრდა უდიდეს რისკთან იყო დაკავშირებული. ცნობილია, რომ გაზეთს უმკაცრეს ცენზურულ პირობებში უხდებოდა გამოსვლა. საცენზურო კომიტეტისაგან მას არაერთხელ მიუღია გაფრთხილება და საყვედური მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდისათვის, რაც ბოლოს და ბოლოს გაზეთის დახურვით დამთავრდა. მაგრამ რუსეთის სოციალური ცხოვრების პროგრესით იმდენად სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული ქართველი საზოგადოება, რომ „დროების“ ხელმძღვანელები ამ რისკზე შეგნებულად მიდიოდნენ.

ბუნებრივია, ცენზურას არ შეიძლებოდა თავისი დადი არ დაესვა ქართული ჟურნალისტიკის სინამდვილისათვის და არ აეძულებინა იგი, რომ სასურველი პოლიტიკის გასატარებლად პროპაგანდის ფარული, შენიღბული ფორმებისათვის მიემართა. „დროებამ“ ამ სახიფათო საქმეში დიდი გამჭირაობა და მოსაზრებულობა გამოიჩინა, რამაც საშუალება მისცა მას რომ უაღრესად შეზღუდულ პირობებში მკითხველებზე ისეთი ზეგავლენა მოეხდინა, როგორც სურდა.

მთავრობის მხრივ „დროების“ საქმიანობის უმკაცრესი რეგლამენტირების ერთ-ერთი გამოვლინება ისიც იყო, რომ გაზეთს დიდხანს აკრძალული ჰქონდა საკუთარი კორესპონდენციების გამოქვეყნება რუსეთის სოციალურ ცხოვრებაზე. ეს გარემოება დამატებით სიძნელეებს უქმნიდა რედაქციას, მაგრამ ამოსავალს იგი მაინც პოულობდა. ცარისტული რეჟიმისათვის კეთილსინამდვილე ვაჭეთებიდან გადმოღებულ მასალებს „დროება“ თვითნებურად ცვლიდა და მათ ისეთ სახეს აძლევდა, რომ ეს პუბლიკაციები სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებას იძენდა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „ნეჩაეველებისა“ და



ალექსანდრე მეორის მკვლელთა გასამართლების გაშუქება. „დროება“ გამოიყენა ამ პრაქტიკულ-სტენოგრაფიული ანგარიშები, რომლებიც ოფიციალურ გაზეთ „პრაქტიკელსტვენნი ვესტნიკში“ იყო გამოქვეყნებულ, მაგრამ ადგილის უკმარისობის მომიზეზებით ისე შეკვეცა და გამოშიგნა ისინი, რაც შემთხვევებში კი ორიგინალებში ისეთი ცვლილებებიც შეიტანა, რომ აღარაფერი დატოვა იქ რევოლუციონერთა რეპუტაციის შემბლაღავი, არსებითად მკითხველებს რევოლუციური იდეებით გამსჭვალული პუბლიკაციები შესთავაზა.

ხშირად „დროება“ მოკლებული იყო იმის შესაძლებლობასაც კი, რომ არ ეთქვა ის, რაც მის მრწამსს არ შეესაბამებოდა. ასეთ შემთხვევებში გაზეთი ცდილობდა მისთვის არასასურველი პუბლიკაციების გვერდით და შემდეგ დაებეჭდა ისეთი მასალები, რომლებიც სათანადო ფონს შექმნიდა საიმისოდ, რათა მკითხველს რედაქციისათვის სასურველი დასკვნები გამოეტანა. „დროება“ იძულებული გახდა ალექსანდრე მეორის მოკვლის გამო გამოქვეყნებინა მოწინავე სტატია, რომელშიც ქება-დიდება შეასხა მას, მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალური ხარკის მოხდა იყო. იმავე ნომერში (1881 წ. 3 მარტს) გაზეთმა დაბეჭდა აკაკის ლექსი „გაზაფხული“, რომელიც, როგორც ცნობილია, ამ ამბის გამო დაიწერა და რომელშიც რუსეთის თვითმპყრობელი მონარქის სიკვდილი გააზრებულია როგორც პოლიტიკური გაზაფხულის მომასწავებელი მოვლენა. ასევე იმავე და მომდევნო ნომერებში გაზეთმა დაბეჭდა რამდენიმე ისეთი მასალა, რომლებშიც სრულიად უარყოფილია ალექსანდრე მეორის მიერ გატარებული რეფორმების რეალური ღირებულება და მოკლული იმპერატორის „დამსახურებანიც“.

„დროების“ მიერ ქართველ ხალხში რუსეთის რევოლუციური მოძრაობისათვის მხარდაჭერის გრძნობის აღზრდა ემსახურებოდა ქართველებსა და რუსებს შორის მეგობრობის განმტკიცებას, რაშიც ცარიზმი მომაკვდინებელ საფრთხეს ხედავდა. ამ მეგობრობას „დროება“ უმავრებდა ბალავარს — ეროვნული, ინტერნაციონალური და სოციალური მიზნების ერთობის შეგნებას, რაც დღევანდელ ვითარებაში ემსახურება აგრეთვე საბჭოთა პატრიოტიზმის ინტერესებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(შემოვიდა 5.6.1984)

ФИЛОЛОГИЯ

Г. Ш. КАПАНАДЗЕ

РОССИЙСКОЕ РЕВОЛЮЦИОННОЕ ДВИЖЕНИЕ В ГАЗЕТЕ «ДРОЕБА»

Резюме

В статье дается краткий анализ освещения в газете «Дроеба» (1866—1885 гг.) российского революционного движения. Понимая, что осуществление как национальных, так и социальных идеалов грузинского народа зависело от успеха русской революции, в труднейших условиях царской цензуры газета пропагандировала революционные идеи и воспитывала своих читателей в духе уважения к ним.

G. Sh. KAPANADZE

 THE RUSSIAN REVOLUTIONARY MOVEMENT IN THE
 "DROEBA" NEWSPAPER

Summary

The paper presents a brief analysis of the coverage of the Russian revolutionary movement in the "Droeba" (1866-1885). Being aware of the fact that the fruition of the national as well as social ideals of the Georgian people depended on the success of the Russian revolution, the newspaper conducted—under the most difficult conditions of tsarist censorship—the propaganda of revolutionary ideas, inculcating a respect of its readers to those ideas.

ლიბერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. გაზ. „დროება“, № 47, 1881.
2. ი. ვ. გ. ე. ბ. ა. შ. ვ. ი. ო. რჩეული ნაწერები, ტ. 2, თბილისი, 19, 112, 114.



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში В АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

სესიები, კონფერენციები, თათბირები СЕССИИ, КОНФЕРЕНЦИИ, СОВЕЩАНИЯ

20—25 აგვისტოს ქ. თბილისში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ქალაქის ლაბორატორიაში ჩატარდა სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიებს შორის მრავალმხრივი თანამშრომლობის პრობლემური კომისიის „ვარსკვლავთ ფიზიკა და ევოლუცია“ მე-5 ქვეკომისიის „ორჯერადი ვარსკვლავები“ თათბირი, რომლის სამეცნიერო თემატიკა იყო „ორჯერადი ვარსკვლავების დაკვირვება და მათი ევოლუცია“.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 50-მდე მეცნიერმა ბულგარეთის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის სამეცნიერო ცენტრებიდან.

სიმპოზიუმზე წარმოდგენილი იყო 50-ზე მეტი მოხსენება.

20—25 ავგუსტა 1984 გ. в Тбилиси в помещении Городской лаборатории Абастуманской астрофизической обсерватории АН Грузинской ССР было проведено совещание Подкомиссии № 5 «Двойные звезды» Многостороннего сотрудничества академий наук социалистических стран по проблеме: «Физика и эволюция звезд». Научная тематика совещания — «Тесные двойные звезды и их эволюция».

В работе совещания приняло участие около 50 ученых, представлявших научные центры Советского Союза, Болгарии, Венгрии, Польши, Румынии и Чехословакии.

Было заслушано свыше 50 докладов.

10—15 სექტემბერს ქ. თბილისში ჩატარდა საერთაშორისო კოლოკვიუმი „ვარსკვლავთ კატალოგები: მონაცემთა შეგროვება, ანალიზი, მეცნიერული შედეგები“, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, ამერიკის შეერთებული შტატების, შვეიცარიის, შვეციისა და იაპონიის 35-მდე მეცნიერმა. მოსმენილ იქნა 30-ზე მეტი მოხსენება.

10—15 сентября в г. Тбилиси проведен Международный коллоквиум «Звездные каталоги: сбор данных, анализ, научные результаты», в работе которого приняло участие до 35 ученых СССР, ГДР, Чехословакии, США, Швейцарии, Швеции, Японии. Было заслушано более 30 докладов.

18—20 სექტემბერს კ. ზავრიევის სახ. სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტში ჩატარდა რესპუბლიკური სამეცნიერო სემინარი



თემაზე: „ჰიდროტექნიკური და საინჟინრო ნაგებობების სეისმომდგრძობა“. სემინარის მუშაობაში მონაწილეობდა 50 მეცნიერი. მათ შორის 12 საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებიდან.

18—20 сентября в Институте строительной механики и сейсмостойкости им. К. С. Завриева проведен Республиканский научный семинар на тему: «Сейсмостойкость гидротехнических и инженерных сооружений». В работе семинара приняло участие 50 ученых, в том числе 12 из различных научных учреждений Советского Союза.

19—21 სექტემბერს ქ. თბილისში ჩატარდა ფოტოგრაფიული პროცესების ფიზიკისა და ქიმიის აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი. სიმპოზიუმში ჩაატარა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან და სსრ კავშირის ქიმიური წარმოების სამინისტროსთან ერთად. სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობდა 150, მათ შორის 47 უცხოელი მეცნიერი, მოსმენილ იქნა 69 მოხსენება.

19—21 сентября в Тбилиси проходил Международный симпозиум «Актуальные вопросы физики и химии фотографических процессов». Симпозиум проводился Институтом кибернетики АН ГССР совместно с АН СССР и Минхимпромом СССР. В работе симпозиума приняло участие 150 ученых, из них 47 иностранцев. Было заслушано 69 докладов.

დაბადების 70 წელი და საზოგადოებრივ-სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბოტანიკური ბაღის დირექტორს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ მამია ალექსის ძე გოგოლიშვილს.

ამ საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერების პრობლემათა განყოფილებამ და ცენტრალურმა ბოტანიკურმა ბაღმა 17 სექტემბერს აკადემიის სააქტო დარბაზში ჩაატარეს საიუბილეო სხდომა, რომელზეც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ს. დურმიშიძემ. იუბილარის საზოგადოებრივ-სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ბიოლ. მეცნ. დოქტორმა ნ. რატიანამ.

Исполнилось 70 лет со дня рождения и 50 лет общественно-научной и педагогической деятельности директора Центрального ботанического сада Академии наук Грузинской ССР, доктора сельскохозяйственных наук, заслуженного деятеля науки, профессора Мамия Алексеевича Гоголишвили.

В ознаменование этой юбилейной даты Отделение проблем сельскохозяйственных наук и Центральный ботанический сад 17 сентября 1984 г. провели в актовом зале Академии наук Грузинской ССР юбилейное собрание, которое вступительным словом открыл вице-президент Академии наук ГССР С. В. Дурмишидзе. С докладом об общественно-научной и педагогической деятельности юбиляра выступил доктор биологических наук Н. Ратиани.



მეცნიერთა იუბილეები
 ЮБИЛЕИ УЧЕНЫХ


გამოჩენილ ქართველ საბჭოთა მწერალს პოეტ-აკადემიკოს გრიგოლ გრიგოლის ძე აბაშიძეს დაბადების 70 წელი შეუსრულდა.

Видному грузинскому советскому писателю, поэту-академику Григолу Григорьевичу Абашидзе, исполнилось 70 лет.

გ. აბაშიძე დაიბადა 1914 წ. 1 აგვისტოს ქიათურის რაიონის სოფელ ზედარგანში.

1927 წ. ქიათურის შვიდწლედის დამთავრების შემდეგ მან სწავლა განაგრძო თბილისის მე-4 შრომის სკოლაში. 1936 წ. წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სხვადასხვა წლებში იყო ჟურნალების „ნინავის“, „დროშის“, „მნათობის“ რედაქტორი.

1967—1981 წწ. გ. აბაშიძე იყო საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ვაჟგობის თავმჯდომარე. 1981 წლიდან იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარეა.

1938 წ. გამოქვეყნდა გრ. აბაშიძის ლექსების პირველი წიგნი. უკვე ოცდაათიანი წლებიდან გრიგოლ აბაშიძის ლექსებმა საპატიო ადგილი დაიკავა როგორც ქართულ, ისე მრავალეროვან საბჭოთა ლიტერატურაში. მოქალაქობრივი პათოსით აღსავსე მისი პოეზია ნათლად ასახავს ჩვენი თანამედროვეობის სპეციფიკას.

1951 წ. ლექსების ციკლისათვის „ლენინი სამგორში“ და „სამხრეთის საზღვარზე“ მას მიენიჭა სსრ კავშირის სახელმწიფო პერმია.

გ. აბაშიძემ დიდი წვლილი შეიტანა ქართული საბჭოთა ეპიკური პოეზიის განვითარებაში. მისი პოემები „ზარზმის ზმანება“, „ძღვევის ქედი“, „შავი ქალაქის გაზაფხული“ ჩვენი ხალხის შრომით მატინანეს წარმოადგენს.

ნათელი კვალი დააჩნია გ. აბაშიძემ ქართული პროზის განვითარებასაც. მისი რომანები „ლაშარელა“, „დიდი დამე“, „ცოტნე ანუ ქართველთა ამაღლება და დაცემა“ ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის მხატვრული მატინანეა.

დიდია წვლილი, რომელიც გ. აბაშიძემ შეიტანა ქართული ნოველისტიკის განვითარებაში.

გ. აბაშიძის მრავალი მხატვრული ნაწარმოები თარგმნილია რუსულ და სსრ კავშირის ხალხთა ენებზე, გამოცემულია აგრეთვე საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში.



ხყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად გ. აბაშიძე აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა.

1958 წ. სტოკჰოლმში შვედობის დაცვის კონგრესზე იგი აირჩიეს შვედობის მსოფლიო საბჭოს წევრად. 1963—1970 წწ. იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, 1970 და 1974 წწ. არჩეული იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, იყო სკკპ XXIV და XXV ყრილობების დელეგატი.

გრიგოლ აბაშიძის მდიდარი და მრავალფეროვანი მოღვაწეობა ღირსეულად არის დაფასებული. 1974 წ. საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის მას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. იგი დაჯილდოებულია ლენინის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

Григол Григорьевич Абашидзе родился 1 августа 1914 г. в с. Зедаргани Чиатурского района.

В 1927 г. после окончания Чиатурской семилетней школы он продолжил учебу в 4-й трудовой школе г. Тбилиси. В 1936 г. окончил филологический факультет Тбилисского университета. В разные годы был редактором журналов «Нианги», «Дроша», «Мнатоби». В 1967—1981 гг. является председателем правления Союза советских писателей Грузии. С 1981 г. является председателем Комитета по государственным премиям имени Ш. Руставели в области литературы, искусства и архитектуры при Совете Министров Грузинской ССР.

В 1938 г. вышел первый сборник стихов Г. Абашидзе. Уже с 30-х гг. стихотворения Г. Абашидзе занимают видное место как в грузинской, так и в многонациональной советской литературе. Наполненная гражданственным пафосом, его поэзия ярко отражает специфику нашей современности.

В 1951 г. за циклы стихов «Ленин в Самгори» и «На южной границе» он был удостоен Государственной премии СССР.

Большой вклад внес Г. Абашидзе в развитие грузинской советской эпической поэзии. Его поэмы «Мать», «Кавказ непобедимый», «Весна черного города» являются трудовой летописью нашего народа.

Яркий след оставил Г. Абашидзе и в развитии грузинской советской прозы. Его романы «Лашарела», «Долгая ночь», «Цотნэ, или возвышение и падение грузин» являются художественной летописью исторического прошлого грузинского народа.

Весьма существен вклад, внесенный Г. Абашидзе в развитие грузинской новелистики.

Многие художественные произведения Г. Абашидзе переведены на русский язык и языки народов СССР, изданы также во многих зарубежных странах.

Наряду с плодотворной творческой деятельностью, Г. Абашидзе ведет и активную общественную работу.

В 1958 г. на Всемирном конгрессе мира в Стокгольме он был избран членом Всемирного Совета Мира. В 1963—1970 гг. избирался депутатом Верховного Совета Грузинской ССР, в 1970 и 1974 гг. — депутатом Верховного Совета СССР, являлся делегатом XXIV и XXV съездов КПСС.



Богатая и многосторонняя деятельность Г. Абашидзе оценена достойно. В 1974 г. за большой вклад в развитие советской литературы ему было присвоено звание Героя Социалистического Труда. Он награжден орденами «Знак Почета», Трудового Красного Знамени, двумя орденами Ленина и медалями.





საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ანდრია მელიტონის ძე აფაქიძეს 70 წელი შეუსრულდა.

Академику АН ГССР, доктору исторических наук **Андрею Мелитоновичу Анакидзе** исполнилось 70 лет.

ა. აფაქიძე დაიბადა 1914 წ. 3 სექტემბერს ცხაკაიას რაიონის ს. ზანაში, 1932 წ. ახალენაკის პედტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ა. აფაქიძე შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, ხოლო უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე (1937 წ.) დატოვებულ იქნა ასპირანტად უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრაზე.

შრომითი საქმიანობა ა. აფაქიძემ დაიწყო 1932 წ. საშუალო-სასწავლებლის დამთავრებისთანავე. სტუდენტობის წლებში განაგრძობდა მუშაობას რესპუბლიკური ვაზეთების რედაქციებში. 1936 წ. ჯერ კიდევ სტუდენტი, ჩაირიცხა საქართველოს არქეოლოგიური ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ თანამშრომლად.

1939 წლიდან ა. აფაქიძე სკკპ წევრია.

1941 წ. ა. აფაქიძე იცავს საკანდიდატო დისერტაციას.

1941 წ. ივლისიდან ა. აფაქიძე გაწვეული იყო მოქმედ არმიაში. 1942—1943 წწ. ხელმძღვანელობდა ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილებას. 1943—1952 წწ. ა. აფაქიძე მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორად. 1952 წლიდან ხელმძღვანელობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის სექტორისა და ანტიკური ხანის არქეოლოგიის განყოფილებას (ამ უკანასკნელს ის განაგებს ამჟამადაც).

1959 წ. ა. აფაქიძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1963 წ. მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება, 1964 წ. კი — საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწისა. 1967 წ. ა. აფაქიძე არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1983 წ. — აკადემიკოსად.

აკად. ა. აფაქიძის ხელმძღვანელობით შეიქმნა ქართული საისტორიო მეცნიერებისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე ნაშრომები. ორი მათგანისათვის („სქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში“, „ანტიკური ხანის საქართველოს კულტურა“) ავტორმა, შესაბამისად, აკად. ს. ჯანაშიას სახ. პრემია და საქართველოს სახელმწიფო პრემია დაიმსახურა. საგანგებო აღნიშვნის ღირსია აკად. ა. აფაქიძის მონაწილეობითა და მისივე ხელმძღვანელობით შექმნილი პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო „საქართველოს არქეოლოგია“ და პირველი „არქეოლოგიური ლექსიკონი“. ა. აფაქიძე თანაავტორი და ხელმძღვანელია სერიებისა: „დიდი პიტიუნტი“ (გამოიცა სამი ტომი) და „მცხეთა-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები“ (გამოიცა ექვსი ტომი).



იგი დამარსებელია სერიისა: „მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის“.

აკად. ა. აფაქიძის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებათა მიღწევებისა და მეთოდების დანერგვას საქართველოს არქეოლოგიაში, წყალქვეშა არქეოლოგიის წამოწყებას შავი ზღვის აფხაზეთის სანაპიროზე.

მრავალმხრივი მეცნიერული და ორგანიზატორული მოღვაწეობის კვალდაკვალ აკად. ა. აფაქიძე ხელმძღვანელობს უაღრესად მნიშვნელოვან საველე-არქეოლოგიურ კვლევა-ძიებებს: 1939—1947 წწ. ა. აფაქიძე მუშაობდა მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას ხელმძღვანელობით, 1952—1974 წწ. იგი ხელმძღვანელობს ბიჭვინთის ნაქალაქარის გათხრებს, ხოლო 1975 წლიდან მცხეთის მუდმივმოქმედ არქეოლოგიურ ექსპედიციას.

საქართველოს ძველი დედაქალაქის არქეოლოგიური შესწავლის სამუშაოებში განსაკუთრებული ღვაწლისათვის აკად. ა. აფაქიძე არჩეულია მცხეთის საპატიო მოქალაქედ.

ა. აფაქიძე დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და ხუთი მედალით.

აკად. ა. აფაქიძე დღესაც ნაყოფიერად ემსახურება ქართული საბჭოთა მეცნიერების განვითარების, ახალგაზრდობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

А. М. Апакидзе родился 3 сентября 1914 г. в с. Зана Цхакаевского района. После окончания педтехникума в Ахалсопели в 1932 г. А. М. Апакидзе поступил на исторический факультет Тбилисского государственного университета, а по окончании университета (1937 г.) был оставлен в аспирантуре университета на кафедре археологии.

Трудовую деятельность А. М. Апакидзе начал в 1932 г. В студенческие годы продолжал работать в редакциях республиканских газет. В 1936 г., будучи студентом, был зачислен младшим научным сотрудником Института археологии.

С 1939 г. А. М. Апакидзе — член КПСС.

1941 г. А. М. Апакидзе защитил кандидатскую диссертацию.

В июле 1941 г. он был призван в действующую армию. После демобилизации в 1942—1943 гг. руководил отделом археологии Института истории. В 1943—1952 гг. А. М. Апакидзе работал на должности директора Государственного музея Грузии. С 1952 г. руководил сектором археологии и отделом археологии античной эпохи (последним он руководит и в настоящее время) Института истории им. И. А. Джавахишвили.

В 1959 г. А. М. Апакидзе защищает докторскую диссертацию; в 1963 году ему присвоено звание профессора, а в 1964 г. — заслуженного деятеля науки ГССР. В 1967 г. А. М. Апакидзе избран членом-корреспондентом АН ГССР, а в 1983 г. — академиком.

Академиком А. М. Апакидзе лично и под его научным руководством созданы труды, имеющие важное значение в развитии грузинской исторической науки. Из них за два труда («Города и городская жизнь в древней Грузии», «Культура Грузии античной эпохи») автор

соответственно заслужил премию имени С. Н. Джанашиа и Государственную премию ГССР.

Особо следует отметить созданный с его участием и под его же руководством университетский учебник «Археология Грузии», а также первый «Археологический словарь». А. М. Апакидзе — участник и руководитель серий: «Великий Питиунт» (вышло три тома) и «Мцхета — результаты археологических исследований» (вышло шесть томов). Он основатель серии «Материалы к археологии Грузии и Кавказа». По инициативе А. М. Апакидзе заложены основы внедрения в археологию Грузии достижений и методов естественных и технических наук, подводной археологии на Абхазском побережье Черного моря.

Многостороннюю научную и научно-организационную деятельность А. М. Апакидзе умело совмещает с руководством крайне важными полевыми археологическими разысканиями: с 1939 по 1947 г. он работает в Мцхетской археологической экспедиции под руководством И. А. Джавахишвили и С. Н. Джанашиа; в 1932—1974 гг. руководит археологическими раскопками Пицундского городища, а с 1975 г. — Мцхетской постоянно действующей археологической экспедицией.

За выдающийся вклад в археологическое изучение древней столицы Грузии А. М. Апакидзе избран почетным гражданином Мцхета.


С апреля 1980 г. А. М. Апакидзе руководит Отделением общественных наук АН ГССР и является членом президиума АН ГССР. А. М. Апакидзе является председателем Археологической комиссии Грузии, заместителем председателя Исторического общества Грузии, председателем Библиотечного совета Академии. Два десятилетия руководит Специализированным ученым советом Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили. К 25-й годовщине установления Советской власти в Грузии в 1946 г. А. М. Апакидзе награжден орденом «Знак Почета», а в годы Великой Отечественной войны — пятью медалями.

А. М. Апакидзе и сегодня ведет плодотворную работу в деле развития грузинской советской науки, воспитания молодежи.



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს არჩილ ამბროსის ძე ძიძიგურს 70 წელი შეუსრულდა.

Академику АН ГССР Арчилу Амвросевичу Дзидзигури исполнилось 70 лет.



ა. ძიძიგური დაიბადა 1914 წ. 1938 წლიდან, საქართველოს ინდუსტრიალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ა. ძიძიგური სწავლობდა დნებროპეტროვსკის სამთო ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1941 წლიდან იგი არის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასისტენტი. 1945 წ. ა. ძიძიგურმა დაიცვა საკახდიდატო, ხოლო 1958 წ. — სადოქტორო დისერტაცია.

1961 წ. ა. ძიძიგური აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1969 წ. — აკადემიკოსად.

ა. ძიძიგური ცნობილია თავისი შრომებით საშახტო ტურბომანქანებისა და სავენტილაციო სისტემების მდგრადი მუშაობის, აეროდინამიკისა და შახტების თბოფიზიკის დარგში. ძისი ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა საქართველოს ბუნებრივი რესურსების რაციონალური და კომპლექსური გამოყენების მეცნიერული საფუძვლებისა და რესპუბლიკის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ხანგრძლივი (20-წლიანი) კომპლექსური პროგრამების დასამუშავებლად.

ა. ძიძიგურის კალამს ეკუთვნის 200-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის 7 მონოგრაფია, 2 სახელმძღვანელო და 26 გამოგონება.

ა. ძიძიგურის მეცნიერული შრომები მოიცავს რამდენიმე სამეცნიერო მიმართულებას: საშახტო აეროჰიდრომექანიკას, საშახტო თბოფიზიკას, მალაროს აეროდინამიკას, სამთო მანქანების დინამიკას.

ა. ძიძიგური, გამოჩენილ ქართველ მეცნიერ ვ. წულუკიძესთან ერთად, ითვლება ქართული სამთო მეცნიერების ფუძემდებლად და ორგანიზატორად. მან შექმნა მძლავრი მეცნიერული სკოლა, რომელიც წარმატებით წყვეტს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების აქტუალურ პრობლემებს.

დღია ა. ძიძიგურის დამსახურება ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდის საქმეში. მისი უშუალო მონაწილეობით ორმოციან წლებში საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩამოყალიბდა სამთო მექანიკის კათედრა, რომელსაც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა. იგი დღესაც ამ კათედრის პროფესორია.

1957 წ. ა. ძიძიგურის თაოსნობით შეიქმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო მექანიკის ინსტიტუტი, რომლის დირექტორიც იგი იყო 1973 წლამდე.



1973—1981 წწ. ა. ძიძიგური იყო საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, მისი ხელმძღვანელობით 1978 წ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან ჩამოყალიბდა საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისია, რომლის უცვლელი თავმჯდომარეა დღემდე.

ა. ძიძიგურის ხელმძღვანელობით მომზადდა ხუთი სადოქტორო და 35 საკანდიდატო დისერტაცია.

1976—1981 წწ. იგი იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის დელეგატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. ა. ძიძიგური არის რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, მრავალი საკავშირო სამეცნიერო საბჭოს წევრი, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრი, სამთო პროფილის საკავშირო ჟურნალების რედკოლეგიათა წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის წევრი, სამთო სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების საქართველოს სსრ განყოფილების თავმჯდომარე.

ა. ძიძიგური არის საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიისა და მეცნიერებათა აკადემიის გ. ნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურეატი.

ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის იგი დაჯილდოებულია ლენინის, შრომის წითელი დროშისა და „საპატო ნიშნის“ ორდენებით.

А. А. Дзидзигури родился в 1914 г. После окончания Грузинского индустриального института в 1938 г. А. А. Дзидзигури направляется в аспирантуру Днепропетровского горного института. С 1941 г. он является ассистентом Грузинского политехнического института. В 1945 г. защищает кандидатскую, а в 1958 г. — докторскую диссертацию.

В 1961 г. А. А. Дзидзигури избирается членом-корреспондентом АН ГССР, а в 1969 г. — академиком.

А. А. Дзидзигури широко известен своими трудами в области устойчивой работы турбомашин и вентиляционных систем, аэродинамики и теплофизики шахт. Под его руководством проводятся важные работы по разработке научных основ рационального и комплексного использования природных ресурсов Грузии и долгосрочных (20-летних) комплексных программ научно-технического прогресса в республике.

Перу А. А. Дзидзигури принадлежит более 200 опубликованных научных трудов, среди них семь монографий, два учебника и 26 изобретений.

Научные работы А. А. Дзидзигури охватывают несколько научных направлений: аэрогидромеханику, теплофизику, аэродинамику шахт, динамику горных машин.

А. А. Дзидзигури создал мощную научную школу, которая с успехом решает актуальные проблемы развития народного хозяйства республики. Вместе с выдающимся грузинским ученым Г. А. Цулукидзе он считается основоположником и организатором горной науки в Грузии.

Велика заслуга А. А. Дзидзигури в деле воспитания молодых специалистов. При его непосредственном участии в Грузинском политехническом институте в 40-х гг. была создана кафедра горной механики,



которую он возглавлял в продолжение ряда лет. Он и сегодня является профессором этой кафедры.

В 1957 г. по инициативе А. А. Дзидзигури был создан Институт горной механики АН ГССР, директором которого он являлся до 1973 г. Под его руководством институт стал одним из крупных центров горного профиля.


В 1973—1981 гг. А. А. Дзидзигури являлся ректором Грузинского политехнического института им. В. И. Ленина. Под его руководством в 1978 г. при президиуме АН ГССР создана Комиссия по изучению производительных сил и природных ресурсов, бессменным председателем которой он является по сей день.

Под руководством А. А. Дзидзигури подготовлено пять докторских и 35 кандидатских диссертаций.

Особо должна быть отмечена активная государственная и общественная деятельность А. А. Дзидзигури. В 1976—1981 гг. он являлся членом Центрального Комитета Коммунистической партии Грузии, был делегатом XXV съезда Коммунистической партии Советского Союза, депутатом Верховного Совета Грузинской ССР с 1975 г. А. А. Дзидзигури является заместителем председателя Республиканского научно-технического совета, членом многих всесоюзных научных советов, Государственного комитета защиты природы Грузинской ССР, редколлегий всесоюзных журналов горного профиля, Государственного комитета по науке и технике Грузинской ССР, председателем правления Грузинского горного научно-технического общества и т. д.

А. А. Дзидзигури — лауреат Государственной премии Грузинской ССР и премии имени Г. Николадзе АН ГССР. За плодотворную научную и общественную деятельность он награжден орденами Ленина, Трудового Красного Знамени и «Знак Почета».





საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ლეონიდ ერემიას ძე გორგილაძეს 70 წელი შეუსრულდა.

Академику АН ГССР Леониду Еремеевичу Горгиладзе исполнилось 70 лет.

